# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 2011 წელი.

№170 (6801)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საჩუქრად ჩვენს ერთგულ ხელმომწერ მკითხველს

ხვალ, 15 სექტემბერს, ჩვენი გაზეთის ერთგული ხელმომწერი მკითხველი „საქართველოს რესპუბლიკის“ ახალ ნომერთან ერთად საჩუქრად მიიღებს გამოჩენილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის რჩეულ ერთტომეულს.

ჩვენი ხელმომწერის დასაჩუქრების აქცია, რასაკვირველია, ერთჯერადი არ არის და მომავალშიც გაგრძელდება.

ხოლო მომდევნო სამშაბათიდან, ყოველ სამშაბათს, ჩვენი გაზეთის ახალ ნომრებთან ერთად, როგორც ხელმომწერ, ისე არახელმომწერ მკითხველს, შეეძლება სულ ახალი და ახალი გამოცემების შეძენა.

აქვე გაცნობებთ, რომ ყოველი წიგნი გამოიცემა მაღალი, თანამედროვე პოლიგრაფიულ დონეზე, თანაც ამჟამინდელი წიგნის ბაზრის ფასებთან შედარებით გაიყიდება უფრო იაფად.

ასე რომ, იმედია, ჩვენი ეს საქმიანი ურთიერთობა კიდევ უფრო დაააახლოებს გაზეთსა და მკითხველს და, ცხადია, ამ ურთიერთობით მოგებული უწინარესად ჩვენი ერთგული მკითხველი დარჩება.




## ხელისუფლებას ვადა სექტემბრის ბოლომდე დაუწესეს ②

## ვისი სჭამეზის „სიმყარისთვის“ ამენეზთ ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ქვეშ? ⑤

## ფყეეზი და დაცული ტერიტორიები პირწმინდად ნადგურდება! ④

## სოხუმის გადომინო-⑤ ებული პოლიტიკა

## თელავში ბატონყმობა ჯერ არ გადავარდნილა ④

## თურქეთი ისრაელთან ომისთვის მზადაა ②

## რა და რატომ მისწერეს ③ ბურებს საქართველოდან?

## სომხეთი ამერიკაზე დიდ იმედებს ამყარებს

◉ „მართლმადიდებელთა კრებული“

# ხელისუფლებას ვადა სექტემბრის ბოლომდე დაუწესეს



**ორგანიზაცია „მართლმადიდებელთა კრებულმა“ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და კათოლიკოს-პატრიარქს სამი მოთხოვნით მიმართა.**

**„მართლმადიდებელთა კრებული“ მოითხოვს, საქართველოს მსგავსად სხვა ქვეყნებმაც მიიღონ და დაადგინონ ქართული ეკლესიის სტატუსი და პრივილეგიები.**

ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოშიც უნდა გაუქმდეს კანონი, რომლითაც რელიგიურ ორგანიზაციებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ენიჭებათ.

„იგულისხმება დღეს საზღვარგარეთ არსებული ძველი და ახალი ქართული ტაძრები და ძეგლები: თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ევროპაში... ჩვენთან ყველა სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგიებით: მეჩეთების მშენებლობა, კათოლიკური ტაძრების მშენებლობა, სომხური მოქმედი ტაძრები, სექტების სახლები – თავიანთი რელიგიური აღმსარებლობის უფლებებით... ყოველივე აქედან გამომდინარე, თუ თავადაც ანალოგიურად თავის ქვეყნებში არ დაგვიკანონებენ მსგავს პრივილეგიებს და უფლებებს, მაშინ ჩვენთან ერთმნიშვნელოვნად მიღებული ეს კანონი სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს, როგორც შემოტყუებული, ფსევდოდემოკრატიული, ტრადიციული ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრიმინაციისა და მართლმადიდებელთა უფლებების მიზანმიმართულად შემლახველი კანონი,“ – განაცხადეს ორგანიზაციაში.

ორგანიზაციის წარმომადგენლები ასევე მოითხოვენ, საქართველოში ელექტრონული ID მოწმობების გაცემა გაუქმდეს ან ხელისუფლებამ მოქალაქეებს არჩევანის საშუალება მისცეს.

„საქართველოში შეუსწავლელად მიღებული ელექტრონული მმართველობის კანონპროექტის საფუძველზე ელექტრონული ID საბუთების გაცემა, სხვა ტრადიციული ევროპული ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი...) მსგავსად, ან გაუქმდეს როგორც ადამიანის ტოტალური კონტროლისა და ზომბირების შემცველი, ადამიანის უფლებების შემლახველი და მისი უზენაესი ნების ხელმყოფი საბუთი – ან სულ მცირე, აქამდე არსებული ალტერნატიული საბუთების გზა დაუტოვონ მოქალაქეებს, რათა ნებაყოფლობით ჰქონდეს მოქალაქეს არჩევანი (მსგავსად: უკრაინის, მოლდოვეთის...) და არა იძულებით! ნებაყოფლობის ფორმა არ არის, როცა მოქალაქეს ალტერნატივას არ უტოვებ – „არავინ გაიძულებს აღებას, ოღონდ თუ არ აიღებ, ქვეყნისგან გარიყული დარჩები“ – ასეთი ცინიკური განცხადება დაცინვაა საკუთარი ხალხის და მათი აღმსარებლობის!

მთავრობამ დაგვისახელოს, რომელ ევროპულ ქვეყნებში აუქმებენ ვადამდე პასპორტებს და სად არის ასეთი იძულება, როგორც ევროპის გზაზე მიმავალ ახალ საქართველოში?! ელექტრონული საბუთების იძულებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის (13.07.2011წ. №11489), პარლამენტის (01.07.2011 წ. №7508) და იუსტიციის სამინისტროს (30.06.2011 წ. №01/32924) სახელზე სხვადასხვა ტაძრებში წინამძღვრების კურთხევით შეკრებილი 20 ათასამდე ხელმოწერაა შესული, ამ თემაზე საქადაგო ბუკლეტები დიდი სამების ტაძრიდან დაწყებული საქართველოს ყველა ტაძარში დარიგდა, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ მართლმადიდებლების მოთხოვნა აქაც ყურად არ იღო... ეს მაშინ, როცა ვხედავთ, სხვა რელიგიათა უმცირესობების მოთხოვნები და პრივილეგიები როგორ სრულდება და დგინდება! განვსაჯოთ, ვისი უფლებები ირღვევა ჩვენს ქვეყანაში?

მართლმადიდებელთა კრებული მესამე მოთხოვნად ტაძარში ანჩისხატის დაბრუნებას აყენებს. „მაცხოვრის სასწაულმოქმედი ხელთუქმნელი ანჩისხატის ტაძარში დაბრუნებისთვის სასწრაფოდ დაიწყოს არსებული სახატის პროექტის განხორციელებაზე მუშაობა დაცვის პირობების გათვალისწინებით და გაიცეს სათანადო გადაწყვეტილება“, – აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

„ოდეს უსჯულო მთავრობა ართმევდეს, სჯულიერი უკან აბრუნებდეს“. ღვთისადმი შეწირულ სიწმინდეთა შესახებ ვადგენთ წმიდა კანონთა მიხედვით: რომ არავის მიეცეს მათი ხმარების უფლება გინდ უქმად და უხმარად ეწყოს და ფეხის სათელად ეყაროს ეკლესიის საგანძურში, ხოლო თუ ვინმე გაბედავს მათ ხმარებას ეკლესიის გარეთ, მას მოელოდეს იმ ქვეყნად საუკუნო ცეცხლი...“ (რუის-ურბნისის საეკლესიო კრება: კანონი. 1105წ.)

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1996 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანჩისხატის ტაძარში გადაბრძანება მოწევნულ რთულ ჟამს ერის კეთილდღეობისათვის მოითხოვა. მას შემდეგ ყოველწლიურად ათეულობით ათასი ხელმოწერა შედის კულტურის სამინისტროში მართლმადიდებლების მიერ, მაგრამ ამაოდ... „სამწუხაროდ, ანჩისხატისთვის სახატე კიოტის გაკეთება შეგნებულად ჩვენს თვალწინ იბლოკება – მეჩეთებისა და სექტების მშენებლობის ფონზე... ვისი უფლებები ილახება ჩვენს სამშობლოში?! “

„მართლმადიდებელთა კრებული“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხელისუფლებას ვადას სექტემბრის ბოლომდე აძლევს:

„თუ სექტემბერში ეს მოთხოვნები არ იქნება სისრულით დაკმაყოფილებული, მართლმადიდებლებს ისღა დაგვრჩენია, მთავრობა ვამხილოთ, როგორც მართლმადიდებელთა დისკრიმინაციის ხარჯზე სხვა რელიგიათა ხელშემწყობი, რომელიც ეწინააღდეგება საქართველოს ათასწლოვან ისტორიას, ტრადიციას და სრულიად საქართველოს ხალხის ნებას“, – განაცხადეს ორგანიზაციაში.

„მართლმადიდებელთა კრებული“ ამ საკითხების გადასაჭრელად პატრიარქს შუამდგომლობის თხოვნით მიმართავს. „შეწევნას და შუამდგომლობას ვთხოვთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მღვდელმთავრებსა და სასულიერო პირებს ამ მეტად საპასუხისმგებლო საკითხებზე. სისრულით ამოქმედდეს კონსტიტუციური შეთანხმება – საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ისინი, რომელნიც ამ საალმსარებლო მოთხოვნების გვერდით ამ გადამწყვეტ ჟამს მტკიცედ არ დადგებიან, ასეთნი უფლისა და ერის წინაშე თავისი საქმით ემხილებიან, როგორც ფარისევლები და უსჯულოების თანამონაწილეები“, – განაცხადეს „მართლმადიდებელთა კრებულის“ წარმომადგენლებმა.

სამი მოთხოვნა მხარდამჭერთა ხელმოწერებთან ერთად პრეზიდენტს, პარლამენტსა და საპატრიარქოს გადაეცემა.

**ნატა ნიგლაძე**

◉ რეპლიკა

# დაბანილი „ხელები“ და დაუბანელ-მშიერი „პირი“,

## ანუ მთავარია, ვინმე ჩაუშვა, თორემ შენ, შენი საწუხარ-პრობლემებიანად, ვის რა ოხრად უნდიხარ?!



**რა დანიშნულება აქვს, ძვირფასო მკითხველო, თქვენი აზრით, რომელიმე საჯარო სამსახურის თუ კერძო კომპანიის „ცხელ ხაზს?“**

**– ეს ის ტელეფონის ნომერია, რომლის მეშვეობითაც ოპერატიულად მიიღებთ ამომწურავ პასუხებს თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზეო, – მიპასუხებთ, ალბათ, და თითქოს მართალიც იქნებით, მაგრამ...**

თითქოს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ გუშინ დავრეკე „თელასის“ ცხელ ხაზზე (27799 99) ჩემთვის საინტერესო ერთი საკითხის გასარკვევად და...

**„გამარჯობათ. თქვენ დაუკავშირდით „თელასის“ ცხელ ხაზს. გთხოვთ, დატოვოთ თქვენი ინფორმაცია ხმოვანი სიგნალის მიღებიდან 1,5 წუთის განმავლობაში. სურვილისამებრ დატოვეთ თქვენი კოორდინატები. ანონიმურობა გარანტირებულია. გმადლობთ თანამშრომლობისთვის“.**

ავტორობოტის ამ პასუხიდან ორიოდ წუთის შემდეგ კი – ტუტუ-ტუ...

აი, ასე, მოკლედ და გარკვევით: ინფორმაცია დატოვეთო. თუ კოორდინატებსაც დავტოვებთ, ანონიმურობა გარანტირებულიაო.

რახან ანონიმურობის დაცვას გვპირდებიან, რა გამოდის? რა და მოგვიწოდებენ, ვილაც თუ რალაც უშიშრად ამხილეთ, ვინმე გაბედულად ჩაუშვით და ნურაფრის გედარდებათ, რადგან თქვენს ვინაობას ვერავინ გაიგებს, ამის გარანტიას გაძლევთო!

ეს ყოფილა მთავარი, თორემ **თქვენთვის საინტერესო საკითხსა თუ პრობლემაზე პასუხს ამა და ამ დროს მაინც მიიღებთო კი არა, როგორც იტყვიან, კინჩხიცა და კისერიც გიტეხიათო!**

ასეა, როცა არცთუ მოსაწონ ჩამშვებ-დამბეზღებელ სახელმწიფო პოლიტიკა-პოზიციას უცხოური კომპანიებიც ერთგულობენ!

**ასეა, როცა ხელი (სახელმწიფო) ხელს (კერძო კომპანიას) ბანს, ორივე კი პირს (ხალხს) დაუბანელს (და მშიერსაც) ტოვებს!**

**რუსლან რუსია**

◉ ინფორმაცია

## სახელმწიფო ბიუჯეტს 44 მილიონი ლარი „დაუბრუნდა“

**კონტროლის** პალატის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტს 44 მილიონი ლარი „დაუბრუნდა“.

ამის შესახებ ჟურნალისტებს თავად კონტროლის პალატის უფროსმა ლევან ბეჟაშვილმა განუცხადა, რომელიც მისი უწყების მიერ 2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით პარლამენტს გუშინ ანგარიში წარუდგინეს.

– კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შედეგად, საბიუჯეტო დანაზოგების და დაბრუნებული თანხების სახით, 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 44 მილიონი ლარი მიიღო, – განმარტა ბეჟაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, მთავრობამ კონტროლის პალატის მიერ გაცემული უკვე 193 რეკომენდაცია გაითვალისწინა.

რაც შეეხება უწყების მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვლენილი კანონდარღვევების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს, ბეჟაშვილის თქმით, სულ სახელმწიფო სამსახურში მომუშავე 37 პირის დაკავება მოხდა.

ლევან ბეჟაშვილის ანგარიში დეპუტატებმა გუშინდელ სესიაზე მოისმინეს.

## პრემიერ-მინისტრი სამთავრობო ცვლილებებზე ინფორმაციას არ ფლობს

**როგორც** ნიკა გილაურმა განაცხადა, მას მთავრობაში განსახორციელებელი საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ აქვს. პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ამის შესახებ მას არაფერი სმენია, „და დიდი ბოდიშით ამის შესახებ ვერაფერს ვერ გეტყვითო“.

შეგახსენებთ, რომ გუშინ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური პოსტს დატოვებს და მის თანამდებობას რეგიონალური განვითარების მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია დაიკავებს.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

◉ დაპირისპირება

# თურქეთი ისრაელთან ომისთვის მზადაა...

**თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ტაიიპ ერდოღანი აცხადებს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში თურქეთი ისრაელთან ომისათვის მზადაა, თუმცა აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა „ისრაელთან სამხედრო კონფრონტაციისაკენ არ ისწრაფვის“.**



**პრემიერი დასძენს, რომ „თურქეთის ფლოტი მოვლენების ნებისმიერი სცენარით განვითარებისათვის მზადაა, მათ შორის ყველაზე უარესი სცენარისთვისაც“.**

აღნიშნული განცხადებები თურქეთის პრემიერმა გუშინ ეგვიპტურ გაზეთ „აშ-შურუკთან“ საუბარში გააკეთა. ერდოღანი ამ დღეებში ვიზიტით ეგვიპტეში იმყოფება.

– ყველაფერი რაც ჩვენ ვთქვით არის ის, რომ სამხედრო გემები საერთაშორისო წყლებში თურქეთის გემებს იერიშებისგან დაიცავენ, – განაცხადა ერდოღანმა და აღნიშნა: „ეს ჩვენი კანონიერი უფლებაა და ამის უარყოფა არავის შეუძლია. ამ განცხადებამ გააბრაზა ისრაელი, იმიტომ, რომ მას ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო წყლებში თავისი კონტროლის შენარჩუნება სურს“.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

SOS!

# რა და რატომ მისწერეს ბურებს საქართველოდან?

## შერჩებათ სამხრეთ-აფრიკელებს საქართველოში ნაქურდალი მიწა?

**აგვისტოში დიასპორის სამსახურის წარმომადგენლები თავგამოდებით აცხადებდნენ, რომ ივლისის თვეში საქართველოში მოწვეული ბურები მხოლოდ საინფორმაციო ტურით იყვნენ ჩამოსულნი და რაიმე კონკრეტული კომერციული გადაწყვეტილება არ მიუღიათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბურებმა კახეთსა და სართიჭალაში ჰექტრობით მამულები შეიძინეს.**

ჩვენი ინფორმაციით, ამ რამდენიმე თვის წინათ, ბურები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წვერმაღალასაც ეწვივნენ, რომლის ადგილობრივი ხელისუფლებაც მათთვის მიწების გადაცემას გეგმავდა. თუმცა საინტერესოა, რომ **იქაურმა მოსახლეობამ ბურების ჩამოსვლა გააპროტესტა. მათ ღიად განაცხადეს, ჩვენი მიწების დამუშავება ჩვენ თვითონ გვინდაო.** გურულების საყვედური მით უფრო გასაგები იყო, რომ დღემდე უამრავი ადამიანი ცხოვრობს ნატანების, მთისპირის, ასკანის მეწყრულ ზონაში და ჯერ კიდევ გადასაწყვეტია მათი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხი.

ასეთივე ვითარება იყო დედოფლისწყაროში. სწორედ იქაურ სოფლებში იგეგმებოდა აფრიკელი ფერმერების ჩასახლება. თუმცა ბურებმა როცა დაინახეს, ურწყავ მიწას სთავაზობდნენ, უკანმოუხედავად გაეცალნენ იქაურობას.

**ამის მიუხედავად, უფრო გაბედული ბურებიც გამოჩნდნენ, ვინც კახეთსა და სართიჭალაში შეიძინა მიწები, ახლა კი რუსთავის შემოგარენსაც უმიზნებენ.**

ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში პაატა კოლუაშვილი ამ ცოტა ხნის წინათ აცხადებდა, რომ ბურების თემა ჩვენს ხელისუფლებას კაპრიზად და აკვიატებად ჰქონდა ქცეული, ისე რომ, არ უფიქრდებოდნენ, რას მოუტანდა ეს ქვეყანას.

**„რადგან საქართველოში ყველაფერი დიდებული და აღმშენებლური დაკავშირებულია დავით აღმაშენებელთან, ჰგონიათ, რომ ყველა მისი გადაწყვეტილება სასიკეთო იყო. სიმბოლურია 40 000 ყივჩაღი და 40 000 ბური. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყივჩაღების უდიდესი ნაწილი საქართველოდან გააძევეს, რადგან მათ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ ორჯერ მოაწყეს შეთქმულება. ისინი ვერ შეეწყვნენ საქართველოს იმიტომ, რომ ვერ გაიგეს ჩვენი ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული მაჩვენებლები. ვერც ბურები გაიგებენ“.**

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ბურები ქართველ გლეხებზე უკეთ სოფლის მეურნეობაში ვერ ერკვევიან. ხოლო ჩვენს გლეხს შესაბამისი პირობები რომ ჰქონოდა, საქართველოს ააყვავებდა. ამ დროს კი 20 წლის მანძილზე ქართველ გლეხებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლინების საშუალება არ მიეცა.

ექსპერტი „პრესაგე.ტვ“-სთან საუბარში დღესაც აცხადებს, რომ სულ ახლახან ბურებმა მიზერულ ფასად შეიძინეს მიწები საქართველოში.

**„ბურები უკვე საქართველოში არიან, ივლისსა და აგვისტოში ძალიან ბევრი მიწა იყიდეს. 1000 ჰექტარზე მეტი იყიდეს კახეთში, სულ რამდენიმე დღის წინათ კი 250 ჰექტარი არაჩვეულებრივი მიწები იყიდეს სართიჭალაში, ხოლო რუსთავის ირგვლივ რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწის შესყიდვა სურთ“,** — აცხადებს პაატა კოლუაშვილი.

მისი თქმით, ჯერჯერობით 40 ათას ბურზე საუბარი არაა, მაგრამ ჩვენი მთავრობა ბურებს არ ეშვება და მათ საქართველოში ეპატიჟება.

**„რამდენ ბურზეა საუბარი, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე ოთხი ბური. ამ შემთხვევაში, მთავარია არა უცხოელ ფერმერთა რაოდენობა, არამედ ის, რომ მიწის უზარმაზარი მასივების გასხვისებაზეა საუბარი. ეს ქვეყანა და ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება ოდითგანვე მიბმული იყო მიწასთან ქართველი კაცის მარადიულ ურთიერთობაზე. როცა ეს მიწა სხვისი იქნება, მერე კიდევ დამატებით ჩამოვლენ სხვები და დასახლდებიან. დანარჩენი ბურებიც ჩამოვლენ, აბა, რას იზამენ? ამდენ მიწას თუ იყიდიან, ნელა-ნელა ისინიც მოემატებიან. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის მოსახლეობა მათი ჩამოსახლების წინააღმდეგია. კახეთშიც წინააღმდეგნი იყვნენ, სართიჭალაშიც. აგერ, ლაგოდეხისკენ ჭიანურის ტყე იყიდეს და უზარმაზარ ტყეს კაფავენ“.**



ექსპერტი აცხადებს, რომ სრულიად შემთხვევით მოუწია საჯარო რეესტრში მისვლა და გაოცდა, როცა იქ ბურები იყვნენ დაფიქსირებულნი.

**„ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ აბსოლუტურად მუქთად, თითქმის უფასოდ, დაბალ ფასად შეასყიდებენ მათ მიწებს. ეს არის გადამეტება და გადაჭარბება ამ ინვესტიციებთან მისწრაფებაში, რაც სასაცილო და წარმოუდგენელი რამაა. ბურები ისევ გამოჩნდნენ ჩვენთან და ისარგებლეს იმ მომენტით, რომ ივლის-აგვისტო მკვდარი სეზონი იყო, არავის ეცალა ამისთვის და შეისყიდეს მიწები. რაც მთავარია, კიდევ აქვთ სურვილი, იყიდონ ეს მიწები“.**

პაატა კოლუაშვილი აცხადებს, რომ ბურები არავითარი ინვესტიციის ჩადებას არ აპირებენ საქართველოში. მთავრობა მათ კაპიკებში აძლევს მიწას, ხოლო თავის დროზე, როცა ბურები ქართული მიწების დასათვალიერებლად იყვნენ ჩამოსულნი, ბინის ქირას მათ საქართველოს მთავრობა უხდიდა.

**„საქართველოს ყველა კუთხეში გლეხები ლამის აუჯანყდნენ ბურებს. ღია წერილი მივწერეთ ბურების ფერმერთა კავშირს, სადაც ვუთხარით, რომ ეს არის ნაქურდალი მიწა და ეს ნაქურდალი მიწა არ შეგრჩებათ-თქო. ეს მიწა წაგერთმევათ-თქო. ვგულისხმობ იმ დროს, როცა სასამართლოსა და კანონის მეშვეობით შეფასდება ამ მთავრობის საქციელი და ქართული მიწა ბურებს ჩამოერთმევა“,** — აღნიშნა პაატა კოლუაშვილმა ჩვენთან საუბარში.

ბურების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება დიასპორის მინისტრის მოადგილესთან ნიკა ავალიანთან ვცადეთ. თუმცა მან იმ მოტივით, რომ გრიპი ჰქონდა და იწვა, ვერ დაგვიდასტურა ბურების მიერ კახეთსა და სართიჭალაში მიწების შეძენის ამბავი და სახელმწიფო მინისტრის პიარმენეჯერთან, შორენა კირვალიძესთან გადაგვამისამართა.

რაც შეეხება შორენა კირვალიძეს, იგი აცხადებს, რომ ბურებმა მიწის ნაკვეთები შეიძინეს არა სახელმწიფოსგან, არამედ კერძო პირებისგან.

**— ადასტურებთ, რომ ბურებმა საქართველოში მიწები შეიძინეს?**

**მოყვებიან თუ არა პირველ ბურებს სხვა ბურებიც?**

— ეს ინფორმაცია სად გავრცელდა?

**— ეს ინფორმაცია გავრცელდა საზოგადოებაში და მას ექსპერტებიც ადასტურებენ.**

— ასეთი რამ, სხვა ბურებიც მოყვებიან თუ არა, არაფერი გამიგია ჯერ. მაგრამ არის ორი შემთხვევა, როცა ერთი ნაკვეთი კახეთში იყიდეს კერძო პირისგან და ერთიც სართიჭალაში. არავის არავინ არ მოყვება.

**— ანუ 40 ათას ბურზე საუბარი გადაჭარბებულია?**

— რა 40 ათას ბურზეა საუბარი?!

**— თავიდან რატომ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოში 40 ათასი ბური შემოდიოდა?**

— ეს ჩვეულებრივი ჭორი იყო. როგორ წარმოგიდგენიათ, 40 ათასი ადამიანი ფიზიკურად აიყრებოდა და მოადგებოდა საზღვარს?

**— მაშინ, დამიზუსტეთ, რამდენი ბური აპირებდა საქართველოში ჩამოსახლებას?**

— იმ დროს არც 40 ათასი მოდიოდა, არც 20 ათასი. 20 კაციც არ მოდიოდა. უბრალოდ, ადამიანები დაინტერესებულები იყვნენ საქართველოთი, ჩამოვიდა 20-კაციანი დელეგაცია. მათ დაათვალიერეს აქაურობა და მათგან ორმა ადამიანმა გადაწყვიტა ეყიდა მიწა. ერთმა მიწა იყიდა კახეთში, ხოლო მეორემ — სართიჭალაში. ისიც, მიწები იყიდეს არა სახელმწიფოსგან, არამედ კერძო პირისგან.

**— კახეთში სად შეიძინეს მიწა? ბურებს შირაქისა და ელდარის ნოყიერი საძოვრები უნდოდათ.**

— ჩემი ინფორმაცია ისაა, რომ შირაქი და ელდარი არავის უთქვამს. უბრალოდ, მიწა იყიდეს ლაგოდეხში.

**— რატომ შეიძინეს მიწები ივლის-აგვისტოში, როცა მკვდარი სეზონი იყო და თანაც მიზერულ ფასად? დაგვიკონკრეტეთ, რა ფასად და რამდენი ჰექტარი მიწა შეიძინეს?**

— ეგ არ ვიცი, პირადად მე არ დავსწრებივარ ყიდვა-გაყიდვას, მაგრამ არც ივლისი იყო, არც აგვისტო. თუ ადევნებდით თვალყურს ტელევიზიას, სიუჟეტიც კი გავაკეთეთ ამასთან დაკავშირებით. ეს მოხდა მაისის თვეში. დეტალებსა და ჰექტრებზე ვერაფერს მოგახსენებთ.

**მანანა ნოზაძე**

არ გათეთრდების ყორანი

# სომხეთი ამერიკაზე დიდ იმედებს ამყარებს

**Wikileaks-ის საიტზე არის ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სომხების, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის სომხების „კანონიერი მოთხოვნების შესახებ“, რომელსაც საქართველოში სომხეთის სათვისტომო ახმოვანებს. ჯი ეიჩ ენ-ის ინფორმაციით, მოხსენებაში აღწერილია სომხური ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსის ვაზგენ მირზახანიანის შეხვედრა საქართველოში აშშ-ს ყოფილ ელჩთან, ჯონ ტეფტთან 2009 წლის 16 ივლისს.**

აშშ-ის ტეფტის მიერ გაგზავნილ დეპეშაში წერია:

„სომხური ენის გამოყენება ოფიციალურ ენად ადგილობრივ დონეზე, ეთნიკური სომხებისთვის განათლების მიღება და სადავო საეკლესიო ქონების დაბრუნება“.

აშშ-ს ელჩი პირობას დებს, საკითხი განიხილოს იმ პერიოდისთვის საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრთან, ამჟამად კი აშშ-ში ელჩთან თემურ იაკობაშვილთან.

დიპლომატიურ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 2008 წლის 29 სექტემბრით, აღნიშნულია:

სომხეთის სათვისტომო აგრძელებს მოთხოვნას სომხური ენის რეგიონალურ ენად აღიარების შესახებ, ასევე საეკლესიო საკუთრების საკითხების გადაწყვეტისა და დიდი ადგილობრივი ავტონომიის შესაქმნელად.

დეპეშების განყოფილებაში, რომელიც ასეა დასათაურებული „როგორ შეუძლია ხელისუფლებას გაამყაროს ნდობა,“ ვკითხულობთ: ჩვენმა თანამოსაუბრეებმა სამცხე-ჯავახეთში გამოყვეს სამი საკითხი, რომელთა გადასაწყვეტად, როგორც ისინი იმედოვნებენ, ხელისუფლება გადადგამს ნაბიჯებს.

**პირველი** — არსებითია სომხურის, როგორც რეგიონალური ენის შემოღება. დე-იურე მხოლოდ ქართული ენა იქნება გამოსაყენებელი ადგილობრივი ორგანოებსა და სკოლებშიც. დე-ფაქტო გამოიყენება სომხური და რუსული.

3 სექტემბერს (2009...) სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა განაცხადა, რომ საქართველომ უნდა აღიაროს სომხური რეგიონალურ ენად „ინტეგრაცია ასიმილაციის“ გარეშე პრინციპის საფუძველზე.

**მეორეა** საკუთრების საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ეხება იმ ეკლესიებს, რაზეც პრეტენზიას აცხადებს როგორც სომხური, ასევე ქართული ეკლესია. მესამე საკითხია - მოწოდება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის უფლებების გაზრდა. ხალხი საყვედურს გამოთქვამდა, რომ მათ უწევთ თბილისიდან თანამდებობის პირების ლოდინი, ან თბილისში ჩასვლა, რისთვისაც ხარჯავენ დიდ თანხებს, რათა გადაწყვიტონ ელემენტალური ადმინისტრაციული საკითხები, როგორიცაა პასპორტის აღება, ან ქონების რეგისტრაცია

Wikileaks-ის ამ მასალასთან დაკავშირებით, **სომხური მედია** აღნიშნავს: „ამერიკის დიპლომატიური დეპეშები ადასტურებენ შემდგომ რეალიებს:

**1. ჯავახეთის სომხები და მათი სოციალური და პოლიტიკური ინტერესების წარმომადგენელი სტრუქტურები საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვენ:**

**ა) ჯავახეთის სომხების პოლიტიკური დევნის შეწყვეტას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაზრდას;**

**ბ) სამცხე-ჯავახეთში სომხური ენისთვის ოფიციალური რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭებას;**

**გ) სომხეთის ეკლესიის რეგისტრაციას და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების დაბრუნებას;**

**დ) ახალქალაქში ერთობლივი სომხურ-ქართული უნივერსიტეტის შექმნას;**

**2. ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები დაფუძნებულია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან ადამიანის უფლებებისა და ეროვნული უმცირესობების დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე, მრავალი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაცია, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ევროსაბჭო მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვიტონ ზემოხსენებული პრობლემები.**

**3. აშშ-ის მთავრობა საქართველოში საელჩოს თანამშრომლების სახით აცნობიერებს, რომ საქართველოსა და ჯავახეთის სომხების მოთხოვნები კანონიერი და სამართლიანია. ასევე გაცნობიერებულია, რომ მათი დაკმაყოფილება საქართველოს ხელისუფლების მიერ არის ერთადერთი წინაპირობა ჯავახეთის რეგიონში ნდობის განმტკიცებისა და ინტეგრაციის პროცესის წარმატებისა.**

მოამზადა

**ნატა ნიბლაძემ**

### დამღუპველი ინიციატივა

*ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შეთავაზებული სამი ინიციატივა გარემოს დაცვის ექსპერტებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ დარგის სპეციალისტების აზრით, სექტემბრიდან დაიწყება ახალ ინიციატივაზე მუშაობა, რაც სამომავლოდ გაანადგურებს საქართველოს ბუნებას.*

*არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი აცხადებს, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივა სამი მიმართულებით არის საშიში. კერძოდ, 1) საქართველოში დაცული ტერიტორიები აღარ შეიქმნება; 2) ახალი ტყის კოდექსი და რეფორმა ითვალისწინებს, რომ ტყეები გაიცეს 49-წლიანი იჯარით ინვენტარიზაციის გარეშე. გარდა ამისა, ტყის ჩეხვა დაიშვება ნებისმიერი დაქანების ფერდობებზე, 35-გრადუსიანი შეზღუდვა უქმდება და დაიშვება პირწმინდა ჭრები. ასევე, საგანგაშოა, რომ ჭრები დაიშვება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ხელუხლებელ ტყეებშიც. 3) დაკანონდება ნადირობა იშვიათ, წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე, წინასწარი აღრიცხვის, კვოტირების გარეშე. მთავარია, ტურისტულმა კომპანიებმა ან ადგილობრივმა ბობოლა მონადირეებმა ამისთვის ფული გადაიხადონ.*

# ტყეები და დაცული ტერიტორიები პირწმინდად ნადგურდება!

„პრესაგე.ტვ“ ირაკლი მაჭარაშვილისგან შეეცადა მეტი ინფორმაციის მოპოვებას. იმის გამო, რომ იგი ამჯერად თუშეთში იმყოფებოდა და მასთან დაკავშირება ხარვეზებით მიმდინარეობდა, იგი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: **„ეს ინფორმაცია „ფეისბუკზეც“ დავდე და რაც იქ წერია, მეტს ვერაფერს დავამატებ. ჩვენი წყაროდან და ახლობლებისგან შევიტყვეთ, რომ საქართველოს ტყეებისთვის დამღუპველი ეს ინიციატივა პარლამენტში უნდა შევიდეს. როგორც ვიცი, ნადირობასთან დაკავშირებით ეს ინიციატივა უკვე შეტანილია პარლამენტში, ამ ეტაპზე კი ტყის კოდექსი მზადდება“.**

ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, თუ ეს კანონპროექტი განხორციელდა, სულ რაღაც ათიოდე წელიწადში საქართველოს შეიძლება საერთოდ აღარ ჰქონდეს არც პირველადი ბუნებრივი ტყეები და საერთოდ აღარ არსებობდეს ის სახეობები, რომლებიც ახლა წითელ ნუსხაშია შეტანილი და დაცვას ექვემდებარება.

**„ყველა ეს ინიციატივა ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვცდილობთ, ეს კანონპროექტი პარლამენტში ჩავაგდოთ, რათა ამ სახით არ გავიდეს“,** — გვითხრა ირაკლი მაჭარაშვილმა.

ამასთან, მაჭარაშვილი დარწმუნებულია, რომ ყველაფერ ამის უკან ხელისუფლების მერკანტილური ინტერესი დგას და ეს ინიციატივა ბიზნესის ინტერესიდან გამომდინარეობს. კერძოდ, საუბარია კონკრეტული ადამიანების კონკრეტულ კორუფციულ ინტერესებზე.

დღემდე არსებული კანონმდებლობით, ტყის ჭრა აკრძალული იყო 35 გრადუსზე მეტი დაქანების ფერდობებზე, რადგან ეკოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამას ნიადაგდაცვითი, ეროზიის საწინააღმდეგო მნიშვნელობა ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დაცული ტერიტორიები საქართველოს მთელი ტერიტორიის მხოლოდ 7 პროცენტია, გამოდის, რომ რეალურად, დე ფაქტო რეგიონთა გამოკლებით, დაახლოებით 4-5 პროცენტია დაცული. მაჭარაშვილის თქმით, ეს ვერ უზრუნველყოფს ბუნების შენარჩუნებასა და ადამიანისთვის უსაფრთხო გარემოს არსებობას. დაცული ტერიტორიების შექმნაზე უარის თქმა კი ნიშნავს ბუნების შენარჩუნებაზე საერთოდ უარის თქმას.



იმის გამო, რომ დაცული ტერიტორიები არ გვაქვს ზემო და ქვემო სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში, სამეგრელოში, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ბუნების დიდი ნაწილი დაუცველია და ეს ტყეები პირწმინდა ჭრებისთვის არის განწირული.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამ ინიციატივის საპასუხოდ, „ფეისბუკზე“ უკვე გაჩნდა ნეგატიური შეფასებები. საქართველოს ბუნების ბედით დაინტერესებული ადამიანები იმედოვნებენ, რომ ეს კანონპროექტი კანონპროექტად დარჩება. სხვები კი ვანდალიზმად აფასებენ ხელისუფლების ასეთ ნაბიჯს.

გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ შსს-ის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების, ასევე, გარემოს დაცვის მინისტრები შეხვდნენ ტურ-ოპერატორებს და ამ ახალი ინიციატივის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ყოველივე ამის გამო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ, სანამ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება, სამინისტროს მოვალეობაა, ამ საკითხთან დაკავშირებით საჯარო განხილვები მოაწყოს.

საქართველოს ბუნებისთვის დამღუპველი ამ ახალი ინიციატივის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძესთან შევეცადეთ, თუმცა იგი მობილურს გამუდმებით არ პასუხობდა.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე „პრესაგე.ტვ“-სთან საუბარში აცხადებს, რომ ტყის კანონთან მიმართებით ახალ ვარიანტში ბევრი კითხვის ნიშანია. მათ შორის, ის, რომ ეს ტერიტორიები იჯარით უნდა გასხვისდეს დაახლოებით 40 წლით (სხვა ექსპერტები 49-წლიან იჯარაზე საუბრობენ). ეს კი ნინო ჩხობაძისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**„უცნაური ფორმით გასხვისებაზეა საუბარი. ეს შეეხება დაქანების მქონე ფერდობებზე შეზღუდვის მოხსნას, რაც საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელია. დაცული ტერიტორიები ნამდვილად უნდა არსებობდეს და თანაც გაცილებით მეტი რაოდენობით, რადგან ჩვენ ისეთი ბუნებრივი მემკვიდრეობა გვაქვს, რომ დღემდე არსებული დაცული ტერიტორიები კარგად უნდა იყოს დაცული; პარალელურად, ახალი პატარ-პატარა მონაკვეთები, დაცული ლანდშაფტები უნდა შედგეს, რათა ტყის ჩეხვა არ მოხდეს და ბიომრავალფეროვნება შენარჩუნდეს. ეს ის თემაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაემიჯნოს ტყეების ჩვეულებრივი მეურნეობის თემას,“** — აღნიშნა ნინო ჩხობაძემ.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრისთვის უცნობია, საიდან ან ვისგან მოდის ეს ინიციატივა. ამასთან, ჩხობაძე არ გამორიცხავს, ასეთი ინიციატივა პარლამენტში შესულიყო, რადგან არავის არაფერს ეკითხებიან. ნინო ჩხობაძე მოითხოვს საქართველოს ტყეების, დაცული ტერიტორიებისა და წითელ წიგნში შეტანილი ცხოველების შენარჩუნების საკითხები საჯარო გახდეს.

**„ჩვენი ფლორა და ფაუნა საერთო სარგებლობისაა, სახელმწიფოს საკუთრებაა, ამიტომ მისი განხილვა უნდა მოხდეს საჯაროდ, განსაკუთრებით, ტყეების პრობლემა უნდა იყოს ფართო განხილვის შედეგი. უკვე რამდენი წელია, ტყის რეფორმასთან დაკავშირებით საუბრობენ. ამ დროს კი ვერასდროს ვერ მივედით ნორმალურ საწყისამდე. ტყესთან მიმართებით ყოველთვის ვიღებთ უფრო გართულებულ სიტუაციას. ღმერთმა გვარგუნა ასეთი დიდი სიმდიდრე, რასაც ჰქვია საქართველოს ტყეები და რეალურად, ბოლომდე გაჩანაგებისკენ მიგვყავს ის, რაც კი დარჩა“,** — აცხადებს ნინო ჩხობაძე.

მისი თქმით, ისედაც ინტენსიური ჭრები მიმდინარეობდა ამ ტყეებში და ახლა უფრო მეტი საშიშროება ელით ტყეებს, რაც გაუდაბნოების წინაპირობაა. გარდა ამისა, გახშირდა მეწყრები და ეს მხოლოდ დასაწყისია. ამიტომ სპეციალსტები გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემების შესახებ აფრთხილებენ ხელისუფლებას.

**„ყველა რესურსთან მიმართებით ხელისუფლებას ფისკალური ეფექტი აქვს წინ წამოწეული და არა ის, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია ბუნებისთვის. ეს ეხება ნადირობის გამარტივებასა და წითელ წიგნში შეტანილი ცხოველების დახოცვას თუ დაცული ტერიტორიით სარგებლობას. ამიტომ თუ ჩვენმა საზოგადოებამ საყოველთაო პროტესტი არ გამოთქვა, არაფერი გამოვა. დიდი ხანია, უცხოეთს ვაწვდით მსგავს ინფორმაციებს და ახლაც მივაწვდით. ნებისმიერი საზოგადოებრივი, სწორად ლობირებული კომპანია ყოველთვის პოულობს ასეთი რთული სიტუაციიდან გამოსავალს, მაგრამ ახლა ის პერიოდია, როდესაც ჩვენ კონსოლიდირებულად, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ერთად უნდა ვიმოქმედოთ“,** — გვითხრა ნინო ჩხობაძემ.

ამასთან, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ ბუნებასთან დაკავშირებით მომხმარებლური მიდგომა ყოველთვის დამღუპველია.

**„საქართველოსგან განსხვავებით, ბუნებისადმი მომხმარებლურ პრეცენდენტს ვერსად ნახავთ. მათ შორის, ვერც ყოფილ საბჭოურ ქვეყნებში“.**

**მარიამ ლოლაშვილი**

### სამეგრელოს მხარე

## ზუგდიდელებს არც ბაღი და... არც შეშა არ სჭირდებათ?!

**ერთ წელზე მეტია შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობაზე“ რიცხული ადგილობრივი ტყის ფონდის თვითმმართველობაზე გადმოცემის პროცესი ჭიანურდება.**

შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობა“ ამჟამად ეკუთვნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელმაც რატომღაც, შარშან შეუჩერა შპს „ზუგდიდის სატყეო მეურნეობას“ მკარი აღრიცხვის დოკუმენტის გაცემა-გამოყენების უფლება, რომლის საფუძველზეც ზუგდიდის მოსახლეობა შეშას ამზადებდა ადგილობრივი ტყის ფონდში. ასევე, ამ ფონდიდან შეშით მარაგდებოდნენ სკოლები, ბაგა-ბაღები, სოციალურად დაუცველი ოჯახები. შარშანდელი ზამთარი ზუგდიდელებმა სიცივეში გაატარეს, რადგან შეშის დამზადების ნებართვა არ ჰქონდათ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზუგდიდელები წელსაც შეშის გარეშე დარჩებიან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ რამდენჯერმე გაუგზავნა მოთხოვნის წერილი ვერა ქობალიას უწყებას, რომ ტყის ფონდი ადგილობრივ მმართველობას გადმოსცემოდა, მაგრამ პასუხი დღემდე არ ღირსებია. ზამთარი კი ახლოვდება!..

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყურს არ იბერტყავს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის პრობლემებზეც. ხუთ წელზე მეტია ეს უნიკალური ბაღი ამ სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ამჟამად ის გაპარტახებული და გაჩანაგებულია. რამდენჯერმე მიმართა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეკონომიკის სამინისტროს, რომ გადმოეცა ბაღი, რათა ის სრულ განადგურებას გადაურჩეს, მაგრამ თბილისი ზუგდიდელთა ბაღს ჯიუტად არ თმობს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო!

**ლადო ძირია,**
**ზუგდიდიდან**

### ინფორმაცია

## ნიკა ლალიაშვილის აზრით, თელავში ბატონყმობა ჯერ არ გადავარდნილა

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა ლალიაშვილი ეჭვობს, რომ თელავში დაგეგმილი შუალედური არჩევნების პირობებში, რთველი, შესაძლოა „პოლიტიკური ჟონგლიორობის საგნად“ გადაიქცეს.

როგორც ოპოზიციონერმა დეპუტატმა პარლამენტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, „ქრისტიან-დემოკრატები“ ადგილობრივ დონეზე რთველის მონიტორინგის ალტერნატიული შტაბის (რომელიც მონიტორინგს გაუწევს როგორ ბარდება ყურძენი და მოახდენს პრევენციას, რომ ყურძენი არ გაიცვალოს საარჩევნო ხმაზე), ასევე ინტერფრაქციული, ან უშიშროების საბჭოსთან არსებული უწყებათაშორისი ჯგუფის შექმნას მოითხოვს (რომელიც ზედამხედველობას გაუწევს, თუ როგორ მიმდინარეობს თელავში საარჩევნო კამპანია).

„თელავში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების წინაასარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. ეს პროცესი ემთხვევა საშემოდგომო რთველის ყველაზე აქტიურ ფაზას... რთველი შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკური ჟონგლიორობის საგნად, რადგან არსებობს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებისა და დაშანტაჟების ფაქტები. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ არჩევნებში „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენლის გამარჯვების შემთხვევაში რაიონის დაუსაქმებელი მოსახლეობა დასაქმდება, „ნაციონალები“ პირიქით ეუბნებიან — თუ ისინი მათ წარმომადგენელს არ დაუჭერენ მხარს, სამსახურებს დაკარგავენ, — აღნიშნა ლალიშვილმა.

მისივე შეფასებით, ყველაფერი აღნიშნული მოწმობს, რომ თელავში ბატონყმობა ჯერ არ გადავარდნილა.

— იქ თავადებად თავი მოაქვთ „ნაციონალური მოძრაობის„ წევრებს და ყმებად აღიქვამენ თელავის მთელ მოსახლეობას, — განმარტა დეპუტატმა.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველო „ნაციონალებისთვის“

# ვისი საქმების „სიმყარისთვის“ ვაყენებთ ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ქვეშ?

*ნაციონალებს ფული სჭირდებათ! — ეს არის ერთადერთი ახსნა იმისა, თუ რატომ ამბობს ხელისუფლება „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ წილზე უარს. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე დღის წინათ ეს ხელისუფლება პირობას დებდა, რომ სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტი არ გასხვისდებაო.*

*ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, ნაცმოძრაობის გენმდივანმა ზურაბ მელიქიშვილმა პარასკევს, პარლამენტში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გააკეთა. ამ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილებოდა კანონპროექტი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს, სტრატეგიული ობიექტების 25%-იანი წილი საფონდო ბირჟებზე განათავსოს.*

თავისთავად ამ გადაწყვეტილებას ექსპერტები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ეს არგუმენტი ჰქონდა კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციასაც, რომელიც მოითხოვდა კანონმდებლობაში იმ გარანტიის ჩაწერას, რომ საკონტროლო პაკეტი მუდმივად საქართველოს ხელისუფლების ხელში დარჩება.

**სწორედ ამ მოთხოვნის საპასუხოდ განაცხადა მელიქიშვილმა, რომ ვიდრე ნაციონალები არიან ხელისუფლებაში, საკონტროლო პაკეტი არ გასხვისდებაო.**

ამ განცხადებიდან ორი დღის შემდეგ კი, ისე,ჯერჯერობით ის კანონპროექტი პირველი მოსმენითაც არ არის მიღებული, **პარლამენტში შემოიტანეს ახალი კანონპროექტი, რომელიც სტრატეგიული ობიექტების საფონდო ბირჟებზე განსათავსებელი წილის გაზრდას ითვალისწინებს.**

„ნავთობისა და გაზის“ შესახებ მოქმედ კანონში წერია, რომ **ნავთობის ეროვნული კომპანია არის საწარმო, რომლის წილის (აქციების) 75%-ზე მეტს ფლობს საქართველოს სახელმწიფო და რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, მინიჭებული აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი. კანონპროექტით კი, სახელმწიფოს კომპანიაში მხოლოდ „50%-ზე მეტის“ ფლობის გარანტია ექნება.**

შესაბამისად, თუ აქამდე უცხოურ ბირჟებზე ნავთობის ეროვნული კომპანიის (მის საკუთრებაში შედის გაზსადენი და სხვა ინფრასტრუქტურა) აქციების მხოლოდ 25% უნდა გასულიყო, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ბირჟაზე გასატანი აქციების რაოდენობა გაიზრდება. სახელმწიფოს საკუთრებაში კი მხოლოდ **„50%-ზე მეტი“** დარჩება.

ცხადია, ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას 49,9%-ის გასხვისების უფლება ექნება. მართალია, საკონტროლო პაკეტი ისევ ხელისუფლების ხელში დარჩება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საკონტროლო პაკეტის დაკარგვისთვის 0,2%-იც კი იკმარებს.

სწორედ ამიტომ, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას სახიფათოდ მიიჩნევენ ექსპერტებიც და ოპოზიციაც.

**„მე არაერთხელ მითქვას და ახლაც ხაზს გავუსვამ, რომ იმ პირობებში, რა პირობებშიც არის საქართველო მოქცეული, როდესაც არის ამდენი სერიოზული მტერი, მე ამ სიტყვას ხმამაღლა ვამბობ, რადგან ვიცით რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და ვიცით, ვინ არის ყველაზე სერიოზულად დაინტერესებული თუნდაც გაზსადენის ან რკინიგზის შესყიდვით, ბუნებრივია, რომ ეს ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი გადაწყვეტილებაა“, —** აცხადებს ექსპერტი ლადო პაპავა.

ლევან ვეფხვაძეც ამ საშიშროებაზე საუბრობს და ითხოვს, რომ ამ კანონპროექტების განხილვა საერთოდ შეჩერდეს.

**„სტრატეგიულ ობიექტებთან მიმართებაში პოლიტიკური ინტერესი უფრო მეტია, ვიდრე ბიზნეს-ინტერესი. შესაბამისად, ის ქვეყნები, რომლებსაც არა აქვთ კარგი ურთიერთობა საქართველოსთან, იგივე ჩვენი ჩრდილოეთ მეზობელი, დაინტერესებული იქნება ამ ობიექტებით.**

**გარდა ამისა, ჩვენ მთავრობა გვიმტკიცებს, რომ ის არ აპირებს საკონტროლო პაკეტის გაყიდვას. პარალელურ რეჟიმში კი შემოიტანა კანონპროექტი, რომლის თანახმად, გაზის კორპორაციაში სახელმწიფოს სავალდებულო მონაწილეობა 50%-მდე უკვე შეამცირა. უკვე ეს კანონ-**



**პროექტი ნიშნავს, რომ ჩვენ მთავრობას სიტყვიერად ვერ ვენდობით. თვალსა და ხელს შუა კანონს ცვლიან და ხვალ და ზეგ რა იქნება, კაცმა არ იცის. მაგრამ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ.**

**ამიტომ სჯობს, ამ კანონპროექტის განხილვა საერთოდ შეჩერდეს, ვიდრე არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული ამ სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით და არ მივიღებთ ძალიან მყარ გარანტიებს იმისას, რომ პოლიტიკურად მოტივირებული კომპანიების ხელში არ აღმოჩნდება“, —** აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

საინტერესო კი ის არის, თუ რით ხსნის ხელისუფლება პოზიციის სამ დღეში შეცვლას. **რა შეიცვალა ამ დღეებში ქვეყნისთვის და რატომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საფონდო ბირჟებზე მეტი წილი გავიდეს და ბოლოს — რატომ გვატყუებდნენ სამი დღის წინათ?**

ეს არის ის კითხვები, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ჩნდება და, ცხადია, პასუხს ითხოვს. მაგრამ ხელისუფლებას პასუხის გაცემა არ სურს. ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის არც ერთმა წევრმა, გარდა ზურაბ მელიქიშვილისა, ამ თემაზე საუბარი არ მოისურვა.

მელიქიშვილი კი აცხადებს, რომ მას საზოგადოების ამ შიშის არ ესმის.

**„ამით მოხდება აქციების განთავსება აპრობირებულ და ძლიერ ბირჟებზე. აღნიშნული ხელს უწყობს იმას, რომ გაძლიერდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, მოიზიდონ დამატებითი კაპიტალი, მოიზიდონ ინვესტიცია. ერთი მხრივ — შეინარჩუნონ და განამტკიცონ დასაქმებულთა რაოდენობა, მეორეს მხრივ — გაზარდონ. მხოლოდ ამისთვის ხორციელდება ეს ცვლილება.**

**რაც შეეხება იმ საკითხებს და იმ ობიექტებს, რომელთა ხსენებასაც ჩვენი ოპონენტების მხრიდან ხშირად სპეკულაციური ელფერი დაჰკრავს, მინდა, გითხრათ, რომ ამ ობიექტებთან დაკავშირებით ჩვენ განვაცხადეთ, რომ საკონტროლო პაკეტი იქნება საკუთრებაში და ამას არაფერი არ შეეხება“.**

მაგრამ ჯერი იმ კითხვაზე რომ მიდგა, თუ რატომ გახდა სამ დღეში ამ გადაწყვეტილების მიღება საჭირო, მელიქიშვილმა ამაზე პასუხის გაცემა აღარ მოინდომა.

**„მე რა გითხრათ, მე ხომ არა ვარ ამის ინიციატორი? მე ის ვიცი, რომ საკონტროლო პაკეტი მუდმივად იქნება სახელმწიფოს ხელში. პოლიტიკა რაც არის, არის ის, რომ საკონტროლო პაკეტი იმ ობიექტებზე, რაზეც ასეთი შეშფოთება გამოთქვეს, არის და იქნება სახელმწიფო საკუთრებაში. რა მნიშვნელობა აქვს, 75 ეწერება თუ 51? მთავარი ამოსავალი ხომ ის არის, რომ საკონტროლო პაკეტს არავინ შეეხება“,** — განაცხადა მელიქიშვილმა.

შემდეგ, უკვე არაოფიციალური საუბრის დროს კი ამის მიზეზად ის ფაქტორი დაასახელა, რომ **„ამით მეტი აქცია გაიყიდება და მეტი ფული იქნება“.**

ცხადია, რომ ეს ყველაფერი „მეტი ფულის“ მისაღებად კეთდება. მაგრამ საინტერესო ის არის, ეს ფული რაში დაიხარჯება და ულირს თუ არა ქვეყანას ეს ფული იმად, რომ ქვეყნის უსაფრთხოება დადგეს კითხვის ქვეშ.

ლევან ვეფხვაძე აცხადებს, რომ ეს ფული ხელისუფლებას არჩევნებისთვის სჭირდება.

**„ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ ის, რაც გაკეთდა თბილისში, როდესაც ხელისუფლებამ ბიუჯეტიდან დაახლოებით ას მილიონამდე ლარი გამოითავისუფლა მოქალაქეების ხარჯზე, ის, რაც ხდება ახლა სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით, როდესაც მილიარდამდე ლარის ამოღებას ელიან სტრატეგიული ობიექტების აქციების განთავსებით, საბოლოო ჯამში ეს ფული წავა იმ საარჩევნო კამპანიაზე, რასაც ნაცმოძრაობა მომავალი წლისთვის გეგმავს. პრობლემა ის არის, რომ ჩვენს მოქალაქეებს რაღაც ერთჯერად პროგრესს დაანახვებენ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენი მოქალაქეები შეიძლება აღმოჩნდნენ მტრული ქვეყნების პირდაპირი გავლენის ქვეშ. სახელმწიფოს ინტერესი კი ეს ნამდვილად არ არის“,** — აცხადებს ვეფხვაძე.

ამასთან, როგორც იგი აღნიშნავს, **„ხელისუფლების ქმედებების დინამიკა აჩვენებს, რამდენად საშიში შეიძლება გახდეს ეს ყველაფერი. დღეს 51%-მდე ამცირებენ, ხვალ 49-მდე შეამცირებენ და მთავრობას ფული როდის რამდენი დასჭირდება, ჩვენ სად ვსდიოთ? შესაბამისად, ყველა ჯერზე თუ თავის ვალდებულებას ვერ შეასრულებს და მოინდომებს გაყიდვას, ნელ-ნელა ეს წილი შაგრენის ტყავივით შემცირდება და მივიღებთ იმ რეალობას, რომელიც პერსპექტივაში ჩვენთვის, შესაძლოა, ძალიან მძიმე და გამოუსწორებელი აღმოჩნდეს“.**

**თეონა ხარაბაძე**

SIC!

# სოხუმის გადომინოებული პოლიტიკა

**აფხაზეთი, რომლის დამოუკიდებლობაც მხოლოდ რუსეთმა და მისი პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფმა რამდენიმე ქვეყანამ აღიარა, დომინოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობას მსგავსი მოქმედებების დაგმობისკენ მოუწოდებს, დომინოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ლუკას გიტარი VIII მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით სოხუმს ეწვია და დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა.

დომინოს მსოფლიო ორგანიზაციაში უღიარებელი რესპუბლიკის გაერთიანება საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს მაინც მოხდა. რამდენად შესაძლებელია მსგავსი ტენდენცია გაგრძელდეს და რას უნდა ველოდოთ შემდგომში მსოფლიოსგან?

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალალანიამ „პირველთან“ საუბარში განაცხადა, შესაბამისმა ქართულმა უწყებამ დომინოს მსოფლიო ორგანიზაციას უკვე მიმართა მოწოდებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობისგან თავი შეიკავოს.

**„არ ვარ ინფორმირებული იმის შესახებ, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ ჩემპიონატში, თუმცა ჩვენთვის ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და თუკი ღონისძიების მონაწილეები აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ლეგალური საზღვრის გვერდის ავლით მოხვდებიან, ისინი საქართველოს შესაბამის კანონს დაარღვევენ“,** — განაცხადა ჯალალანიამ.

ექსპერტი მამუკა არეშიძე ვარაუდობს, რომ აფხაზეთის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების ტენდენცია შესაძლოა, შემდგომშიც გაგრძელდეს.

**„მე მქონდა ინფორმაცია, რომ დომინოს საერთაშორისო ორგანიზაციამ ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომამდე გადადგა ეს ნაბიჯი. დავინტერესდი და გავიგე, რომ დომინოს ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელი, რომლის ძალისხმევით აფხაზეთი დომინოს საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანდა, წარმოშობით სანკტ-პეტერბურგელი აღმოჩნდა, რაც ცხადყოფს, რომ ამაში რუსეთის ხელი ურევია. აფხაზი სპორტსმენები სხვა ქვეყნის სახელით აქამდეც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ჩემპიონატებში, მაგრამ ამ სახის გადაწყვეტილება პირველია. ვფიქრობ, ეს ტენდენცია შესაძლოა, გაგრძელდეს და აფხაზეთის მიმართ მსგავსი ნაბიჯები სხვა ორგანიზაციებმაც გადადგან“,** — განუცხადა „პირველს“ არეშიძემ.

მისივე ინფორმაციით, რუსეთს აფხაზეთის სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებში შეყვანის მცდელობები ადრეც ჰქონია.

**„ასე იყო, მაგალითად, მსოფლიოს სავაჭრო პალატასთან მიმართებაში, რომელშიც თავის დროზე ტაივანი და ჩრდილოეთ კვიპროსიც გაერთიანდნენ. ამ შემთხვევაში აფხაზეთის გაერთიანება ვერ მოხერხდა, რადგან ამერიკის და მექსიკის დელეგაციებმა ამას წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი ამ ნაბიჯებს პერმანენტულად დგამს. აქედან გამომდინარე, მსგავს ქმედებებთან დაკავშირებით ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ და აფხაზეთთან მიმართებაში ჩვენს პოლიტიკას გადავხედოთ, რადგან რაც უფრო მოვაქცევთ აფხაზეთს იზოლაციონიზმში და დავბლოკავთ, მით უფრო გადაიხრებიან აფხაზები რუსეთისკენ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, აფხაზეთი ასეთ ნაბიჯებს არა რუსეთის, არამედ ჩვენი მეშვეობით დგამდეს“,** — აღნიშნა არეშიძემ.

ექსპერტ ირაკლი ცქიტიშვილის აზრით, **„მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარს სულ უფრო მეტი ქვეყანა ამბობს, ის ფაქტი, რომ ზოგადად საერთაშორისო ორგანიზაციამ მარიონეტულ რეჟიმთან კავშირი დაიჭირა, სახიფათოა“.**

**„ამ ჩემპიონატში ისეთი ქვეყნები დომინირებენ, რომლებიც იდეურად რუსეთთან უფრო ახლოს არიან, თუმცა, სამწუხარო იქნება, თუ ღონისძიებაში ისეთი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას, როგორიცაა ესპანეთი და სომხეთი. როგორც ვიცი, სომხეთის ნაკრების მონაწილეობაზე ჯერ კიდევ მსჯელობენ“,** — აღნიშნა ცქიტიშვილმა.

კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი კი იზიარებს მამუკა არეშიძის ვარაუდს იმის შესახებ, რომ სამომავლოდ მსგავსი ფაქტების რაოდენობა გაიზრდება.

**„როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, ეს დომინოს საერთაშორისო ფედერაციას არ აინტერესებს. მსგავსი ღონისძიებები სხვა უღიარებელ რესპუბლიკებშიც ტარდება და თუ ეს ფაქტი გვალიზიანებს, ან დროზე უნდა მოვაგვაროთ სიტუაცია, ან შევეგუოთ და განცხადებებითა და გაპროტესტებით შემოვიფარგლოთ“,** — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

**ირინა არდაშელია**

ინფლაცია



# ვინ ითბობს ხელს ლარის კურსის რყევით?

**თუ ზაფხულის დამდეგს ინფლაციის მაჩვენებელი საქართველოში 14 პროცენტს აღწევდა, შემდგომ მის კლების ტენდენცია აღინიშნა და ივლის-აგვისტოს მიჯნაზე მან დაახლოებით ცხრაპროცენტიან ნიშნულს მიაღწია, ხოლო ზაფხულის მიწურულს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სულაც 8,5 პროცენტი შეადგენდა. რამდენად იგრძნო ფულის გაუფასურების წნეხის შესუსტება მოსახლეობამ, რა შვება ჰქონდათ ამით მეწარმეებს და როგორ დაეტყო ყოველივე სამომხმარებლო ბაზარს, თავადაც მშვენივრად მოგეხსენებათ, პატივცემულო მკითხველო.**

ინფლაციის გამომწვევ ძირითად მიზეზებად, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ორნიშნა მაჩვენებლით გამოიხატება, ექსპერტები ლარის კურსის არასტაბილურობას, მიმოქცევაში ფულის მასის არაპროპორციულ ზრდას, ასევე ფაქტობრივად ყველა სფეროში მონოპოლისტთა მომძლავრებას ასახელებენ.

ბუნებრივია, რომ ინფლაციის გამო ყველა ზარალობს, მაგრამ განსაკუთრებით მძიმედ ფულის გაუფასურება, თანაც სამომხმარებლო ფასების განუხრელი ზრდის ფონზე, მოსახლეობის უქონელ, სოციალურად ყველაზე დაუცველ კი არა, სრულიად დაუცველ ფენაზე აისახება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით სასურსათო საქონლის ფასებმა, საშუალოდ, 30 პროცენტზე მეტად მოიმატეს.

კარგა ხანია ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ინფლაციასთან ბრძოლის ერთ-ერთი საკმაოდ ეფექტიანი მეთოდია ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამოყენება, როგორც ამას მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მიმართავენ, როცა მიმოქცევიდან ფულის ჭარბი მასის ამოღება, მისი ერთგვარად „კონსერვირება" სურთ. კერძოდ, ამ ხერხს ძალიან ეფექტიანად იყენებს ამერიკის შეერთებული შტატები, რის შესახებ ჩვენი გაზეთი ცოტა ხნის წინათაც წერდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი მთავრობის მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებათა განთავსების შედეგად მიღებული თანხები მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას ხმარდება. ამის გამო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები სამომხმარებლო ბაზარზე მიმდინარე იფნლაციასა და ფასების ზრდაზე რეალურ ზეგავლენას ვერ ახდენს.

ინფლაცია და ფასების ზრდა სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის წარმომადგენლებზე სხვა ფენების წარმომადგენლებთან შედარებით უფრო მეტად იმიტომაც აისახება, რომ **მათი სამომხმარებლო კალათი, არსებითად, მხოლოდ სიცოცხლისთვის აუცილებელი პროდუქტებისგან — პურისა და პურპროდუქტებისგან (მაკარონი, ვერმიშელი), მცენარეული ზეთისგან, კარტოფილისგან და, ნაწილობრივ, ბურღულეულისგან შედგება.** ეს კი სასურსათო საქონლის სწორედ ის სახეობებია, რომლებზეც ფასები ყველაზე მეტადაა მომატებული (2-3-ჯერ და მეტადაც) ცხადია, ხორცს თუ გამოვრიცხავთ, რომელიც სულ ცალკე სასაუბრო თემაა.

საგულისხმო მომენტი, ჩვენი აზრით, ის ვარაუდია, რომელსაც ჩვენში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებთან დაკავშირებით გამოთქვამენ. ერთი ისაა, რომ ლარის კურსის პერმანენტული აწევ-დაწევა, რაც ზაფხულში რამდენჯერმე მოხდა, გარკვეულწილად ხელოვნურად ხდებოდა, რაც სათანადო ინფორმაციის მფლობელებს დიდი მოგების სავსებით რეალურ საშუალებებს აძლევდა. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ლარის კურსის, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად საპროგნოზო ნახტომები, როგორც წესი, კვირის მიწურულს ხდებოდა ხოლმე, დასვენების დღეებში კი ხალხი მარჩიელობას უნდებოდა, თუ რა ტენდენცია — კურსის აწევის თუ დაწევის — იქნებოდა მომდევნო კვირის დამდეგიდან.

ინფლაციის კიდევ ერთი მიზეზი, უდავოდ, მონოპოლიების კანონმდებლობის არსებობასთან და, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობასთანაა დაკავშირებული. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული სრულიად არანორმალური მდგომარეობა. ამ ანომალურობის დადასტურებას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც დიზელის საწვავი, რომელზეც სატვირთო ავტოტრანსპორტი მუშაობს, უმაღლესი ხარისხის ბენზინზე ძვირი ღირს, ეს გარემოება კი, ბუნებრივია, ნებისმიერი პროდუქციის ფასზე აისახება. მეორეც ის არის, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების ცვლილებაზე ამ პროდუქციის სამამულო იმპორტიორები მხოლოდ მაშინ რეაგირებენ ფაქტობრივად მყისიერად, თუკი ის იმატებს. „სხვა დანარჩენი" მათ „არ ეხებათ". თუმცა ამის შესახებაც არაერთგზის გვითქვამს, მაგრამ, ალბათ, მაინც ღირს იმის გამეორება, რომ ეს გარემოება კარტელურ გარიგებაზე თითქმის უტყუარად მიანიშნებს. გარდა ამისა, **ნებისმიერი ფირმის მონოპოლისტობა დაუსჯელობის სინდრომს წარმოშობს, რაც საკუთარი ხარჯის ანაზღაურების საშუალებას ფასის გაზრდის მეშვეობით აძლევს.** ეს კი, ბუნებრივია, მათი არამართებული ზრდით გამოიხატება, რაც რიგითი მომხმარებლის ჯიბიდან ფულის ამოცლის ტოლფასია. მონოპოლისტების განუკითხაობის ბუნებრივი შედეგია, რომ ინფლაცია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, სამხრეთ კავკასიაზე ხომ ლაპარაკიც არ არის.

არავის ეგონოს, რომ ამით ვინმეს ნიშნს ვუგებდეთ, მაგრამ **საბიუჯეტო სახსრების უყაირათოდ ხარჯვა, უხარისხო მშენებლობები (გზების, გნებავთ, საკომუნიკაციო გაყვანილობების, ნაგებობების თუ სხვა) — ესეც ინფლაციის მძლავრი წყაროა,** რომელიც განუვითარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ფულის მომძლავრებულ მასასთან ერთად, ძნელად ასაწევი ტვირთია.

**ოთარ ტურაბელიძე**

სპეცოპერაციის ექო

## „ჯერონიმო!", „ჯერონიმო!"

**მსოფლიოში № 1 ტერორისტის განადგურებიდან რამდენიმე თვის თავზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეცდანიშნულების რაზმის ამ უნიკალური ოპერაციის დეტალები გამოაქვეყნეს, მაგრამ ალ-ქაიდას ლიდერის უშუალო მკვლელის ვინაობას ჯერჯერობით არ ამხელენ. ყოველკვირეულმა „ნიუიორკერმა" ოპერაცია „ნეპტუნის შუბის" ამბავი ანონიმურობის პირობით გამოაქვეყნა.**



აქციაში ექვსი ვერტმფრენი იყო ჩართული — ორი „ბლექ ჰოუკი", რომელიც ჯალალაბადის ავიაბაზიდან გაფრინდა და ოთხი დამხმარე MH -47 „ჩინუკი". ერთ-ერთ „ბლექ ჰოუკზე" საგანგებო საბრძოლო ჯგუფის „დევგრუს" 23 ამერიკელი „ზღვის კატა" იყო, რომლებიც უშუალოდ ამერიკის პრეზიდენტს ექვემდებარებიან. კიდევ 25 სპეცრაზმელი ოთხ ვერტმფრენზე რეზერვში იყო. ბოლო მესამე ჯგუფი კი პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთით უდაბურ ველზე გადაისხა და პაკისტანის ავიაციის მოქმედებებს იქიდან აკვირდებოდა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში მისი უვნებელყოფა მოეხდინა.

საგანგებო აპარატურის წყალობით ვერტმფრენებმა პაკისტანის საზღვარი შეუმჩნევლად გადალახეს და მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. მათი მიზანი ქალაქ აბათობადში კერძო სახლი იყო, სადაც დაზვერვის ცენტრალური სასამართლოს (დცს) მონაცემებით ბინ ლადენი იმალებოდა. მისი მკვლელობის გეგმა ძალიან მარტივი იყო: სპეცრაზმელებს სახლის ტერიტორიაზე უნდა შეეღწიათ, უმალვე უვნებელყოთ დაცვა და ალ-ქაიდას ლიდერი მოეკლათ.

## ბლიცკრიგის კრახი

**ვერტმფრენიდან სპეცრაზმელები თოკებით ჩამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ მფრინავმა მანქანა ვერ დაიმორჩილა, რადგან ძლიერ საჰაერო ნაკადში მოხვდა და მიწას დაენარცხა.** შეტევას მოულოდნელობის ელემენტი დაეკარგა, ამიტომ მაშინვე განგაშის ზარი სარეზერვო ჯგუფს გაუგზავნეს. ერთ-ერთი სარეზერვო ვერტმფრენი „ზღვის კატების" საშველად გაფრინდა და მალე მათ გვერდით დაეშვა, ცოტა ხანში კი პირველი ვერტმფრენის 12 სპეცრაზმელი სახლის შტურმზე გადავიდა. რამდენიმე ჩაკეტილი კარიბჭის აფეთქების შემდეგ სამი მეომარი სტუმართა სახლისკენ გაემართა, სადაც ბინ ლადენის კურიერი აბუ აჰმად ალ-ქუვეიტი ცხოვრობდა თავის ცოლ-შვილთან ერთად. კაცმა იარაღზე ხელის მოკიდებაც ვერ მოასწრო, ავტომატის ჯერმა იგი შუაზე გადაჭრა...

ამასობაში თერთმეტი სხვა სპეცრაზმელი შიდა ეზოში შეცვივდა, სადაც მთავარი სახლი იდგა, რომელშიც ბინ ლადენი იმალებოდა. არსებობდა ინფორმაცია, რომ იქ ასევე უსამას შვილები ჰამზა და ჰალიდი, გარდა ამისა ალ-ქუვეიტის ძმა აბსარი იმყოფებოდნენ. აბსარი სახლის ზღურბლზე ავტომატით ხელში გამოვარდა, მაგრამ ისიც ძმასავით მაშინვე მოკლეს თავის უიარაღო ცოლთან ერთად.

მესამე სართულის კიბეს რკინის კარი კეტავდა, რომელიც სპეცრაზმელებმა ააფეთქეს. მის მიღმა „ზღვის კატებს" ჰალიდ ბინ ლადენი ელოდა, მაგრამ მან გასროლაც ვერ მოასწრო...

ამასობაში სახლის მახლობლად მეხამრიდის როლი თარჯიმანმა აჰმედმა შეასრულა, რომელმაც ჩინებულად გაითამაშა გადაცემული პაკისტანელი პოლიციელის როლი — როცა სახლთან სროლის ხმაზე ხალხი შეიკრიბა, მან ადგილობრივებს შინ შესვლა უბრძანა იმ მიზეზით, თითქოს პაკისტანელი პოლიციელები იმ სახლში სპეცოპერაციას ატარებდნენ.

## ტერორისტს აფარებული ქალები

**მეოთხე სართულის გისოსებიანი კარის აფეთქების შემდეგ სამი „ზღვის კატა" ზევით აიჭრა, სადაც უსამა ბინ ლადენი იმალებოდა საძინებელ ოთახში.** მაგრამ ოთახში შევარდნილ ამერიკელ ჯარისკაცებს ტერორისტის ორი ცოლი ეცა, რომლებმაც თავისიანთა ბედი გაიზიარეს. ოთახში შეჭრილმა მეოთხე სპეცრაზმელმა უიარაღო ბინ ლადენს M4 ავტომატური თოფის ლაზერის სამიზნე მიუშვირა. იმის გამო, რომ „ზღვის კატებისთვის" ვინმეს ტყვედ აყვანის ამოცანა არ დაუყენებია, ჟურნალისტის წყაროს ცნობით, ამაზე არც არავის უფიქრია. ამიტომ პირველი ტყვია ბინ ლადენს მკერდში მოხვდა, მეორე — მარცხენა თვალის ზემოთ, ამის შემდეგ რაციით სპეცნაზმელმა ხმამაღლა გადასცა: „ღმერთისთვის, ქვეყნისთვის — ჯერონიმო, ჯერონიმო, ჯერონიმო!" კოდური სიტყვა ბინ ლადენსა და ოპერაციის მსვლელობისას მის მიგნებას ნიშნავდა.

სპეცრაზმელებთან ერთად ამ სახლში ექიმიც მივიდა. შეტევის შემდეგ მან ბინ ლადენის ძვლის ტვინისა და დნკ-ს სხვა ანალიზები აიღო. ვიდრე წავიდოდნენ, „ზღვის კატებმა" ეზოში დამტვრეული ვერტმფრენი ააფეთქეს, ქალები და ბავშვები კი სახლში დატოვეს.

ჯალალაბადში ამერიკის სამხედრო ბაზაზე ბინ ლადენის ცხედარს სურათები გადაუღეს და ბაგრამის ბაზაზე გაგზავნეს, იქიდან კი ავიამზიდ „კარლ ვინსონზე" გადაასვენეს. მერე მუსლიმური წესით განბანეს, თეთრ სუდარაში გაახვიეს, ტომარაში მოათავსეს, საგანგებო ტვირთი მიაბეს და წყალში გადაუშვეს.

**ირმა ირემაშვილი**



№ 170. ოთხშაბათი, 14 სექტემბერი, 2011 წელი.

## ◎ კალათბურთი

# ნახვამდის, ევროპა!

ვიბძროლეთ, მაგრამ მაინც დავმარცხდით, ამჯერად ბერძნებთან — 60:73.



ალბათ, „ევრობასკეტის" დღეებში მიეჩვიეთ ამ ტრაფარეტადქცეულ სიტყვებს. რას ვიზამთ, ესეც საქმეა — ჩვენ ხომ დებიუტანტები ვიყავით. ახლა მთავარია, ძველი ებრაული სიბრძნისა არ იყოს, საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ, სხვათა გაკვეთილებიც გავითვალისწინოთ და, იქნებ, სოფელიც აშენდეს.

ამრიგად, მეოთხედფინალში ითამაშებენ: ესპანეთი — სლოვენია, ლიტვა — მაკედონია (დღეს) და საფრანგეთი — საბერძნეთი, რუსეთი — სერბეთი (ხვალ).

## ◎ ჭიდაობა

# პირველი მერცხალი

სტამბოლში დაწყებული ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო დღემ ქართულ დელეგაციას პირველი მედალი და, რაც მთავარია, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია მოუტანა (შეგახსენებთ, რომ მანამდე ანალოგიური შედეგი ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ და მშვილდოსანმა ქრისტინე ესებუამ აჩვენეს).

ეს წარმატება მანუჩარ ცხადაიას (66 კგ) სახელს უკავშირდება, რომელმაც 2009 წლის „მუნდიალის" მსგავსად „ვერცხლი" მოიპოვა.

„ჯვაროსანთა" ერთ-ერთმა ლიდერმა ზედიზედ სძლია ალჟირელ, შვეიცარიელ, უნგრელ, კუბელ და ამერიკელ მეტოქეებს, თანაც აღნიშნულ ბრძოლებში მხოლოდ ერთი პერიოდი დათმო, თუმცა ფინალში ვერაფერი გააწყო ირანელ საეიდ აბდვალთან.



რაც შეეხება ლაშა გოგიტაძესა (55 კგ) და ირაკლი ქაჯაიას (96 კგ), ისინი პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ და ტურნირს ვადამდე გამოეთიშნენ.

## ◎ ჭადრაკი

# ამაგს უფასებენ



ცნობილი მწვრთნელის ვალიკო ურიდიას შეგირდთა ტრიუმფით დასრულდა საერთაშორისო ტურნირი გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში.

7 შესაძლებლიდან 6 ქულით, თანაც დაუმარცხებლად, მთავარი პრიზი საქართველოს ექს-ჩემპიონმა თორნიკე სანიკიძემ მოიპოვა, ხოლო მასპინძელთა სახელით მოთამაშე ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტმა დავით ბარამიძემ III ადგილი დაიკავა. იგი გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

კიდევ ერთ ჩვენს თანამემამულეს დავით ლობჟანიძეს 5 ქულით მე-17 პოზიცია ხვდა.

## ◎ რაგბი

# ოთხი დებიუტანტი



მაშ ასე, დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ახალი ზელანდიის ქალაქ ინვერქარგილში სადებიუტო შეხვედრას გამართავს მისთვის ზედიზედ მესამე მსოფლიო თასზე შოტლანდიასთან, რომელმაც ტურნირის სტარტზე რუსეთს 34:24 სძლია.

„ბორჯღალოსანთა" კვარტის ძირითად შემადგენლობაში პირველად მორიგებენ გარემარბი სანდრო თოდუა, შერკინების კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე, მეორეხაზელი ვახტანგ მაისურაძე და მესამეხაზელი დიმიტრი ბასილაია, დანარჩენები კი ბრძოლებში გამობრძმედილი მორაგბეები არიან.

მოკლედ, 11 საათსა და 30 წუთზე I არხი შთამბეჭდავ სანახაობას გვპირდება.

## ◎ ჩოგბურთი

# უძლეველი ჯოკოვიჩი?

მართალია, ჩვენი დროის ორ უძლიერეს ჩოგბურთელს — რაფაელ ნადალსა და ნოვაკ ჯოკოვიჩს — შორის საერთო ანგარიშში წინ ესპანელია — მან 28 შეხვედრაში 16-ჯერ გაიმარჯვა, მაგრამ ბოლო დროს, ზედიზედ ექვსჯერ სერბმა იმძლავრა. ასევე მოხდა ამერიკის ღია ჩემპიონატზეც. მონაწილეთა შორის პირველ ნომრად განთესილმა ჯოკოვიჩმა ერთეულთა პაექრობაში კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა და გაიმარჯვა 6:2, 6:4, 6:7 (3:7), 6:1.



შეგახსენებთ, რომ ნიუიორკში მიმდინარე ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 22 მილიონი დოლარი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სერბის ეს მესამე გამარჯვებაა „დიდი მუზარადის" სერიის ტურნირებზე ავსტრალიისა და უიმბლდონის შემდეგ. საერთოდ კი მსოფლიო რეიტინგის წლევანდელმა ლიდერმა, 24 წლის ჯოკოვიჩმა 66 მატჩიდან 64-ში გაიმარჯვა.

## ◎ სავალალო სტატისტიკა

7 სექტემბერს, რუსეთში, იაროსლავლის აეროპორტიდან აფრენისას, ЯК-42Д-ს ტიპის თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ლაინერის ბორტზე რუსეთის ჰოკეის კლუბის „ლოკომოტივის" მოთამაშეები იმყოფებოდნენ, რომლებიც მინსკში, მორიგ თამაშზე მიფრინავდნენ. თვითმფრინავი აფრენისთანავე ჩამოვარდა. მის ბორტზე, ეკიპაჟის 8 წევრი და 37 მგზავრი იმყოფებოდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ადამიანი გადარჩა.

ავიაციის ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ანალოგიურ შემთხვევებს სპორტსმენებისა და სპორტული გუნდების სიცოცხლე ეწირება.

1949 წლის 4 მაისს, იტალიის საფეხბურთო კლუბი „ტორინო", ლისაბონიდან იტალიაში მიფრინავდა. წინა დღით, გუნდმა, რომელიც 1940-იან წლებში, იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო კლუბად ითვლებოდა, ლისაბონში ადგილობრივ „ბენფიკთან" შეხვედრა გამართა.

იმ საბედისწერო დღეს, სამძრვიან თვითმფრინავ F6AT G-121CP-ის ბორტზე, 18 ფეხბურთელი, კლუბის ხელმძღვანელობა და ჟურნალისტები იმყოფებოდნენ, სულ 31 ადამიანი. ბარსელონაში თვითმფრინავმა, საწვავის შევსებისთვის შუალედური დაჯდომა შეასრულა. საღამოს ხუთი საათისთვის, როდესაც ტურინამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი, ძლიერი ნისლის გამო, პილოტმა ორიენტაცია დაკარგა. თვითმფრინავმა მთაზე მდგარ შენობას ფრთა წამოჰკრა და იქვე ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი ადამიანებიდან ყველა დაიღუპა. გადარჩენა მხოლოდ „ტორინოს" ერთმა ფეხბურთელმა შეძლო, რომელიც ლისაბონში ტრავმის გამო არ გაემგზავრა.

# ავიაკატასტროფებში



# დაღუპული სპორტსმენები

მორიგი სერიოზული ინციდენტი, რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა, 1958 წლის 6 მაისს, გერმანიაში, მიუნხენის აეროპორტში მოხდა. იმ დღეს, ბრიტანული საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" ბელგრადიდან ბრუნდებოდა. იმ პერიოდში არსებული თვითმფრინავების ფრენის მანძილი არ იძლეოდა ბელგრადიდან ბრიტანეთში პირდაპირი ჩაფრენის შესაძლებლობას. ამიტომაც, მიუნხენში თვითმფრინავი საწვავის მარაგის შესავსებად დაეშვა.

აფრენის ზედიზედ ორი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მიზეზი ერთ-ერთი ძრავის გაუმართავ მუშაობაში მდგომარეობდა. თვითმფრინავიდან ყველა მგზავრი ჩამოსვეს და ტექნიკოსებმა ძრავის შეკეთება სცადეს. თავდაპირველად, რეისის გადადებას და მეორე დღეს გაფრენას გეგმავდნენ, მაგრამ ეკიპაჟის მეთაურს არ სურდა გრაფიკიდან გადახვევა და მცირე რემონტის შემდეგ, მან აფრენის მესამე მცდელობა მოიმოქმედა. ამასობაში, ამინდი გაუარესდა და თოვლი წამოვიდა. აეროპორტის სამსახურმა ასაფრენი ბილიკი თოვლისგან არ გაწმინდა. შემდგომ, სწორედ ეს ფაქტორი ითამაშებს გადამწყვეტ როლს.

ბილიკზე გაქანების მომენტში, როდესაც თვითმფრინავმა თითქმის მიაღწია ასაფრენ სიჩქარეს, მის წინ თოვლისგან გაუწმენდავი ასაფრენი ბილიკის ნაწილი აღმოჩნდა. ბეტონზე არსებული თოვლის გამო, მისმა სიჩქარემ 230 კმ/სთ-დან 187 კმ/სთ-მდე დაიკლო. აფრენის მცდელობაში, თვითმფრინავმა მთელი ასაფრენი ბილიკი გაიარა. შემდგომ გაამტვრია აეროპორტის ღობე და იქვე მდგარ სახლს შეეჯახა, რომელშიც ექვსკაციანი ოჯახი ცხოვრობდა. იმ მომენტისთვის, სახლში მხოლოდ ოჯახის ოთხი წევრი — დედა და სამი შვილი იმყოფებოდა. მათ სახლიდან გამოქცევა ბოლო მომენტში მოასწრეს. ძლიერი შეჯახებისგან, თვითმფრინავს მარცხენა ფრთა და კუდის ნაწილი მოტყდა, მარჯვენა ბორტით კი ის იქვე მდგარ ანგარს დაეჯახა. მასში საწვავით სავსე სატვირთო მანქანა იდგა, რომელიც იმწამსვე აფეთქდა. თვითმფრინავში მყოფი 44 ადამიანიდან 21 ადგილზე დაიღუპა. კიდევ ორი ადამიანი, მოგვიანებით, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

კატასტროფის შემდეგ, მომხდარის პირველ მიზეზად, მფრინავის შეცდომა სახელდებოდა, მაგრამ შემდგომ გაირკვა, რომ აფრენის პირველი ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ძრავზე ჩატარებული რემონტი წარმატებით შესრულდა, მომხდარის მიზეზი კი, თოვლისგან გაუწმენდავი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი იყო. სწორედ ამის გამო ვერ შესძლო თვითმფრინავმა, აფრენისთვის საჭირო სიჩქარის განვითარება.

ასეთი დასკვნის მიუხედავად, მიუნხენის აეროპორტის ხელმძღვანელობამ მომხდარში ბრალი ერთადერთ გადარჩენილ პილოტს, ეკიპაჟის მეთაურს კაპიტან ტეინის დასდო. აეროპორტის ხელმძღვანელობის მტკიცებით, აფრენის წინ ტეინიმ არ იზრუნა თვითმფრინავის ფრთებიდან თოვლის მოცილებაზე, რაც აფრენისას შემოყინვის მიზეზი გახდა.

სასამართლო გარჩევა, 1968 წლამდე გაგრძელდა. იმავე წელს, კაპიტანი ტეინი გაამართლეს. რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს", მიუნხენის ტრაგედიამ მისი შვიდი ფეხბურთელის სიცოცხლე შეიწირა.

ყველაზე შემზარავი საავიაციო შემთხვევა, რომელმაც სპორტსმენების სიცოცხლე შეიწირა, 1972 წლის 13 ოქტომბერს მოხდა. იმ დღეს, ურუგვაის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც ჩარტერულ რეისს ასრულებდა, ეკიპაჟის 5 წევრი და 40 მგზავრი იმყოფებოდა. ისინი რაგბის გუნდის მოთამაშეები იყვნენ. მათთან ერთად ბორტზე მწვრთნელები, ნათესავები და რამდენიმე სპონსორი იმყოფებოდა. რეისი წინა დღეს, 12 ოქტომბერს დაიწყო, მაგრამ უამინდობის გამო თვითმფრინავი არგენტინის ქალაქ მენდოსაში დაჯდა. მეორე დღეს კი, ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში გაფრინდა.

ანდების თავზე ფრენისას, თვითმფრინავი ძლიერ ციკლონში მოხვდა. მინიმალური ხილვადობის გამო, თვითმფრინავმა კუდი მთის მწვერვალს წამოსდო. ძლიერი დარტყმისგან მას ფრთა მოტყდა. უშუალოდ ჩამოვარდნისას, ბორტზე მყოფი 45 ადამიანიდან 12 დაიღუპა. კიდევ 6 მეორე დილას გარდაიცვალა. დარჩენილი 27 ადამიანი, 3600 მ-ის სიმაღლეზე, უმკაცრეს კლიმატურ პირობებში, გადარჩენის პრობლემის წინაშე მარტონი დარჩნენ. მათ არც თბილი ტანსაცმელი და არც მედიკამენტები ჰქონდათ.

თვითმფრინავის დაკარგვისთანავე, სამი ქვეყნის მთავრობამ მისი ძებნა დაიწყო, მაგრამ უშედეგობის გამო, სამძებრო სამუშაოები მერვე დღეს შეწყდა. ამის შესახებ, თავად საბედისწერო რეისის გადარჩენილმა მგზავრებმა პატარა რადიოთი შეიტყვეს.

გადარჩენილების მდგომარეობას, საჭმლის მინიმალური მარაგი აუარესებდა. მათ მხოლოდ რამდენიმე შოკოლადის ფილა და ღვინის ბოთლი ჰქონდათ. მკაცრი ეკონომიის მიუხედავად, საჭმლის მარაგი მალე გათავდა. მართალია წყალს თოვლის გადნობით შოულობდნენ, მაგრამ შიმშილმა ისინი უკიდურეს ზღვარზე — კანიბალიზმზე წასვლა აიძულა. მათ დაღუპული ადამიანების ხორცის ჭამა დაიწყეს.

29 ოქტომბერს, იმ ადგილას, სადაც გადარჩენილებს ეძინათ, ზვავი ჩამოწვა, რომელმაც კიდევ 8 ადამიანი შეიწირა. სამი დღის განმავლობაში, გვამებთან, ერთად გადარჩენილები ფიუზელაჟის ფრაგმენტებში იყვნენ მოყოლილნი, სანამ ნანდო პარადომ პილოტის კაბინაში ფანჯრის გამტვრევა არ მოახერხა. მალე ისინი მიხვდნენ, რომ გადარჩენაზე თვითონ უნდა ეზრუნათ. ამიტომაც სამი მათგანი დამხმარეთა მოსაყვანად გაემგზავრა.

მალე ამ სამეულმა თვითმფრინავის კუდს მიაგნო, რომელშიც ბარგი ინახებოდა. ჩემოდნებში მათ თბილ ტანსაცმელს და შოკოლადს მიაგნეს. აქვე იდო რამდენიმე აკუმულატორი, რომელთა საშუალებით SOS სიგნალის გადაცემა შეიძლებოდა. ფიუზელაჟთან მიბრუნებულებმა რაცია წამოიღეს, მაგრამ სიგნალის გადაცემა ვერ მოხერხდა. ერთადერთი გამოსავალი მთებზე გადასვლა და დაბლობში ჩასვლა იყო. სხვანაირად მათ გადარჩენის არანაირი შანსი არ ჰქონდათ.

12 დეკემბერს, სამი ადამიანი ანდების გადალახვას შეუდგა. თანდათანობით თოვლიანი პეიზაჟი დაბლობებმა შეცვალა. თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილიდან წამოსვლის, მხოლოდ მეცხრე დღეს, მათ ჩილელ მწყემსს, სერხიო კატალანას მიაგნეს. სწორედ მან აუწყა ხელისუფლებას 571-ე რეისის კატასტროფაში გადარჩენილი ხალხის შესახებ.

22 დეკემბერს, ორმა შვეულმფრენმა თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილს მიაგნო. მაგრამ იმ დღეს, უამინდობის გამო, მთებიდან მხოლოდ ნახევარი ხალხის გამოყვანა მოხერხდა. დარჩენილები კი შემდეგი დღის დილას წამოიყვანეს. ავიაკატასტროფის შედეგად ცოცხლად დარჩენილი თექვსმეტი მგზავრი გადაარჩინეს. იმავე დღეს, ისინი სანტიაგოს საავადმყოფოში მოათავსეს. მაშველებმა მათი პოვნა და შემთხვევის ადგილიდან გამოყვანა, მხოლოდ 72 დღის შემდეგ შესძლეს.

ამ ამბიდან ექვსი წლის შემდეგ, 1979 წლის 11 აგვისტოს, უკრაინაში, ქალაქ დნეპროძერჟინსკის თავზე, ერთმანეთს ორი ТУ-134ა-ს ტიპის თვითმფრინავი შეეჯახა. ერთი რეისით ტაშკენტი-მინსკი-დონეცკი მიფრინავდა. მის ბორტზე ეკიპაჟის 7 წევრი და 77 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის საფეხბურთო კლუბ „პახტაკორის" 17 ფეხბურთელი. მეორე თვითმფრინავი რეისს ჩელიაბინსკი-ვორონეჟი-კიშინიოვი ასრულებდა. მის ბორტზე 88 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა.

იმ დღეს, საჰაერო მოძრაობის მართვის ხარკოვის ცენტრში, ექვსი დისპეტჩერი მორიგეობდა. მოძრაობა ჰაერში საკმაოდ გადატვირთული იყო. ორი თვითმფრინავი 8400 მ-ის სიმაღლეზე ღრუბლებში მიფრინავდა. ახალგაზრდა, გამოუცდელმა დისპეტჩერმა ნიკოლაი ჟუკოვსკმა იფიქრა, რომ თვითმფრინავები ერთმანეთს ასცდებიან. საფრთხე ვლადიმერ სუმსკიმ შენიშნა, რომელმაც ბელორუსულ ეკიპაჟს 9600 მ-ზე ასვლა უბრძანა. საპასუხოდ, რადიოში დასტური გაისმა. სუმსკი დარწმუნებული იყო, რომ მას მინსკის ეკიპაჟმა უპასუხა. სინამდვილეში კი, ეს ИЛ-62-ის ეკიპაჟის მეთაური იყო, რომელიც ტაშკენტში მიფრინავდა.

1 წუთისა და 5 წამის შემდეგ ორი თვითმფრინავი 8400 მ-ის სიმაღლეზე ერთმანეთს შეეჯახა. ორივე თვითმფრინავის ბორტზე მყოფი ადამიანებიდან ყველა დაიღუპა.

9 თვის შემდეგ, დამნაშავეები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. სუმსკისა და ჟუკოვსკის 15-15 წელი მიუსაჯეს. ამ ტრაგედიის გამო, ტაშკენტის „პახტაკორში", 1979 წელს, სსრკ-ის სხვა კლუბებიდან მოხალისე მოთამაშეები გადმოიყვანეს, თითო კაცი სსრკ-ის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 15 კლუბიდან.

**ლაშა ბურჭულაძე**

PRESA.ge

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| ობიექტის № | ქალაქი, მუნიციპალიტეტი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | ლიცენზიის მოქმედების ვადა | აუქციონის საწყისი ფასი (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით) | „ბე" საწყისი ფასის 20% (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამეგრელო ზემო-სავანეთის და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი | სასარგებლო წიაღისეულის (კეროგენშემცველი ფიქლები - oil shale) შესწავლა-მოპოვება | 25 წელი | 1 300 000 | 260 000 |
| 2 | მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონი | სასარგებლო წიაღისეულის (კეროგენშემცველი ფიქლები - oil shale) შესწავლა-მოპოვება | 25 წელი | 1 100 000 | 220 000 |
| 3 | სამეგრელო ზემო-სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის და გურიის რეგიონი | სასარგებლო წიაღისეულის (კეროგენშემცველი ფიქლები - oil shale) შესწავლა-მოპოვება | 25 წელი | 600 000 | 120 000 |
| 4 | რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის და გურიის რეგიონი | სასარგებლო წიაღისეულის (კეროგენშემცველი ფიქლები - oil shale) შესწავლა-მოპოვება | 25 წელი | 800 000 | 160 000 |
| 5 | რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონი | სასარგებლო წიაღისეულის (კეროგენშემცველი ფიქლები - oil shale) შესწავლა-მოპოვება | 25 წელი | 900 000 | 180 000 |
| 6 | სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონი | სასარგებლო წიაღისეულის (კეროგენშემცველი ფიქლები - oil shale) შესწავლა-მოპოვება | 25 წელი | 400 000 | 80 000 |

### X,Y კოორდინატები ობიექტების ადგილმდებარეობის შესახებ

| 1 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 266079 | 4752833 |
| 2 | 267491 | 4784589 |
| 3 | 269137 | 4787680 |
| A | სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ კონტურის ზოლი | |
| 4 | 400701 | 4730525 |
| 5 | 399647 | 4729062 |
| 6 | 394426 | 4726721 |
| 7 | 388064 | 4720848 |
| 8 | 382192 | 4714160 |
| 9 | 317731 | 4733514 |
| S=474344,65 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| 2 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 548566 | 4675524 |
| 2 | 544988 | 4673786 |
| 3 | 525477 | 4676857 |
| 4 | 489705 | 4682819 |
| 5 | 465974 | 4686927 |
| 6 | 468189 | 4691035 |
| 7 | 459479 | 4695675 |
| 8 | 454807 | 4701272 |
| 9 | 449602 | 4701672 |
| 10 | 449836 | 4707153 |
| 11 | 441193 | 4716581 |
| 12 | 441863 | 4726388 |
| A | სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ კონტურის ზოლი | |
| 1 | 548566 | 4675524 |
| S=418478,31 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| 3 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 225352 | 4667319 |
| 2 | 215976 | 4701345 |
| A | სანაპირო ზოლი | |
| 3 | 225670 | 4703022 |
| 4 | 225365 | 4707414 |
| 5 | 250383 | 4724367 |
| 6 | 250871 | 4731496 |
| 7 | 258981 | 4739066 |
| 8 | 257667 | 4745094 |
| 9 | 265808 | 4752753 |
| 10 | 319083 | 4732623 |
| 11 | 275094 | 4659805 |
| S=542663,00 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| 4 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 319083 | 4732623 |
| 2 | 357108 | 4721340 |
| 3 | 325586 | 4656410 |
| 4 | 275094 | 4659805 |
| S=332534,75 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| 5 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 357108 | 4721340 |
| 2 | 382530 | 4713857 |
| 3 | 383455 | 4702332 |
| 4 | 391796 | 4696454 |
| 5 | 385121 | 4665919 |
| 6 | 375658 | 4650845 |
| 7 | 331437 | 4655760 |
| 8 | 325586 | 4656410 |
| S=294049,93 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| 6 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 331471 | 4591668 |
| 2 | 351736 | 4595764 |
| 3 | 427691 | 4608484 |
| 4 | 456422 | 4561141 |
| A | სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ კონტურის ზოლი | |
| 1 | 331471 | 4591668 |
| S=408720,00 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო. გ. გულუას ქ.№6, ტელ. (832) 272-72-48, აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 14 სექტემბრიდან - 10 ნოემბრის ჩათვლით 17 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2011 წლის 14 ნოემბერს 12 საათიდან სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში. www.menr.gov.ge |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300773069 (სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო) |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | „ბე“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 302006400 (სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო) |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.<br>ე)„ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო შემოთავაზებული თანხა გადაიხადოს აუქციონის ოქმის გაფორმებიდან ორი თვის ვადაში.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და ”დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.<br><br>**სალიცენზიო პირობები:**<br><br>1. შესწავლის ვადა განისაზღვრება 60 თვით ლიცენზიის გაცემიდან.<br>2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა სააგენტოში წამოადგინოს მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი.<br>3. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველწლიურად პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე წამოადგინოს წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში.<br>4. მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გეგმებში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. სამუშაოების შეუსრულებლობა გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.<br>5. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ბუნებრივი რესურსების სააგენტოში წარმოადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (”გზშ”), რომელიც მომზადებული უნდა იყოს კარგი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე შესაბამისი ორგანიზაციის მიერ. ”გზშ”-ს ანგარიშში უნდა აისახოს მნიშვნელოვანი რისკები და საფრთხეები, ანგარიში ასევე უნდა შეიცავდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტექნოლოგიური ციკლის აღწერას და ტექნოლოგიურ სქემას. აღნიშნული ანგარიში ბუნებრივი რესურსების სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნეს ლიცენზიის გაცემიდან არაუგვიანეს 57 თვისა.<br>6. ლიცენზიის მფლობელს უფლება ექნება დაიწყოს ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ "გზშ"-ს ანგარიშზე დადებითი დასკვნის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში. თუ ასეთი დადებითი დასკვნა გაცემულია გარკვეული პირობით, აღნიშნული პირობა ლიცენზიის მფლობელისთვის წარმოადგენს სალიცენზიო პირობას და მისი შესრულება სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელის მიერ.<br>7. სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით ლიცენზიის გაცემიდან 60 თვის გასვლისთანავე შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით წარადგინოს **Joint Ore Reserves Committee (JORC)**-ის კოდექსის შესაბამისად შედგენილი, ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში და ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.<br>8. მარაგების ანგარიშის და ათვისების გეგმის წარმოუდგენლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.<br>9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა მარაგების დამტკიცების შემდეგ გამოთვლილ ფასსა და აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასს შორის.<br>თუ სალიცენზიო ფართობზე დამტკიცებული მარაგების მიხედვით გამოთვლილი ფასი ნაკლებია აუქციონზე დაფიქსირებულ საბოლოო ფასზე ამ შემთხვევაში მეტობით გადახდილი თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას.<br>10. მე-6 პუნქტის გათვალისწინებით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაიწყოს ლიცენზიის გაცემიდან 72 თვის |

იხ. 10 გვ.

| | |
|---|---|
| | განმავლობაში.<br>11. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს კვროგენ შემცველი ფიქლების მოპოვება მხოლოდ 300 მეტრ სიღრმემდე, კარიერული წესით.<br>12. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების სრული ციკლი განახორციელოს სამთო მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ საქართველოს ტერიტორიაზე.<br>13. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემთხვევაში, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის (სინთეტური ნავთობის) წილობრივი განაწილება სახელმწიფოსა და ლიცენზიის მფლობელს შორის ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი პრინციპით:<br>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებიდან პირველი 6 წლის განმავლობაში შემდეგი პროპორციით: სახელმწიფოს წილი – 30 %, ლიცენზიის მფლობელის წილი - 70 %.<br>ბ) შემდეგი 5 წლის განმავლობაში შემდეგი პროპორციით: სახელმწიფოს წილი 50 %, ლიცენზიის მფლობელის წილი – 50 %;<br>გ) ლიცენზიის მოქმედების დარჩენილი ვადის განმავლობაში შემდეგი პროპორციით: სახელმწიფოს წილი – 70 %, ლიცენზიის მფლობელის წილი – 30 %.<br>14. წილობრივი განაწილების აქტს ლიცენზიის გამცემსა და ლიცენზიის მფლობელს შორის ხელი უნდა მოეწეროს წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით, მაგრამ არაუგვიანეს წინა აქტის ხელმოწერიდან სამი თვის განმავლობაში.<br>15. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის გამცემი გადაწყვეტს მიიღოს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის (სინთეტური ნავთობის) სახელმწიფო წილი ნატურის სახით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მიაწოდოს ლიცენზიის გამცემს აღნიშნული პროდუქტი საქართველოს ტერიტორიაზე ლიცენზიის გამცემის მიერ მითითებულ ადგილზე.<br>16. იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის გამცემი გადაწყვეტს მიიღოს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის (სინთეტური ნავთობის) სახელმწიფო წილის ფულადი ექვივალენტი, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია თითოეული წილობრივი განაწილების აქტის ხელმოწერიდან ყოველი მომდევნო წილობრივი განაწილების აქტის ხელმოწერამდე სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს აღნიშნული თანხა. გადახდა უნდა განხორციელდეს ერთი ტრანზაქციის სახით, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის (სინთეტური ნავთობის) ფასი განისაზღვრება ლიცენზიის მფლობელსა და ლიცენზიის გამცემს შორის შეთანხმებით.<br>17. ლიცენზიის გაცემიდან 72 თვის გასვლისთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სრულად დააბრუნოს სალიცენზიო ფართობი იმ ტერიტორიის გამოკლებით რომელიც დამტკიცებული მარაგების ანგარიშის საფუძველზე მიჩნეული იქნება სამთო და მიწის მინაკუთვნებად. |
| | 18. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობში მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას. იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელსა და სალიცენზიო ფართობში მოქმედ ლიცენზიანტებს შორის წარმოიშვა სადავო საკითხები სამუშაო ტერიტორიებთან დაკავშირებით და მათ შორის ყველა მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, მათი მომართვის საფუძველზე ლიცენზიის გამცემს ექნება უფლება მხარეების ინტერესების გათვალისწინებით გასცეს რეკომენდაციები სადავო საკითხის მოსაგვარებლად.<br>19. სახელმწიფო უფლებამოსილია წინამდებარე სალიცენზიო ფართობზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.<br>20. ლიცენზიის მფლობელი ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ფართობის რეკულტივაციაზე ფართობის დაბრუნების მომენტისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.<br>21. ლიცენზიის მფლობელი, სალიცენზიო ფართობის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობას განახორციელებს მხოლოდ ასეთი მიწის კერძო მესაკუთრესთან შეთანხმებით.<br>22. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო დ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.<br>23. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს<br>საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

ძიება

# კურორტული სეზონისთვის გათვლილი მიუზიკლი,

## ანუ რუსთაველის თეატრში სააკაშვილ-დოიაშვილის ეპოქა იწყება



**რუსთაველის თეატრი სტურუასგან თავისუფალია! დიდი რეჟისორის მშობლიური თეატრიდან სკანდალურად „გაცილების“ შემდეგ რუსთაველის თეატრს სულ უფრო ხშირად უკავშირებენ რეჟისორ დათო დოიაშვილისა და ავთო ვარსიმაშვილის სახელებს. ამჯერად დოიაშვილის მიერ გათანამედროვებული და ხელისუფლებისგან ასე გაპიარებული მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ ბათუმური პრემიერის შემდეგ რუსთაველის თეატრში დაიდგმება. ეს იმის ფონზე ხდება, როდესაც რუსთაველის თეატრში სტურუას სპექტაკლების აკრძალვის შესახებ ხმები სულ უფრო ხშირად გაისმის.**

რუსთაველის თეატრის მსახიობები პირად საუბრებში კარგა ხანია აცხადებენ, რომ რობერტ სტურუას თანამდებობაზე კულტურის სამინისტრო მუსკომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დავით დოიაშვილისა და თავისუფალი თეატრის მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ავთო ვარსიმაშვილის კანდიდატურას განიხილავს. დოიაშვილი ხელისუფლებისთვის საყვარელი რეჟისორი და უბრალოდ „დოი“-ა, ავთანდილ ვარსიმაშვილი კი ორჯერ იყო საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის სამხატვრო ხელმძღვანელი.

14 აგვისტოს, მიუზიკლ „ქეთო და კოტეს“ პრემიერის პირველსავე დღეს თბილისიდან საკმაოდ წარმომადგენლობითი, 1500-კაციანი დელეგაცია გაეშურა ბათუმში. ალბათ ამ 1500 სტუმრიდან ბევრმა ბათუმის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეიტანა დიდი წვლილი. ამჯერად კი, აცივდა და პრემიერამ დედაქალაქში გადმოინაცვლა. იმის გამო, რომ „ქეთო და კოტეს“ პრემიერაზე ქართველი კინომცოდნეებისთვის მოსაწვევები ვერ გამოინახა და დარბაზი მთლიანად პარტიულმა ელიტამ შეავსო, მიუზიკლის შესახებ სპეციალისტთა შეფასებებიც ზედაპირულია. კინომცოდნე **გოგი გვახარიას** თქმით, „ხელოვანთა წრე“ იმდენად დავიწროვდა, რომ ქართულ კულტურაში ჟანგბადის კატასტროფული დეფიციტი გაჩნდა. ხელისუფლება მიხვდა, რომ რამდენიმე სახელი დატვირთვას ველარ გაუძლებდა. ახალი სახეების ძებნა კი იმ ხალხს, ვინც კულტურის პოლიტიკაზე აგებს პასუხს, რა თქმა უნდა, დაეზარა.“

თავად გვახარიამ პრემიერაზე დასწრება ვერ შეძლო. „მთავრობაში ერთი ნაცნობიც არ მყავს, რომ დავურეკო და აზრი ვკითხო (ბუნებრივია, ახალი „ქეთო და კოტეს“ სანახავად მთელი მთავრობა მიაშურებდა ბათუმს)... სხვა, აბა, ვინ მოხვდებოდა პრემიერაზე?“, - აცხადებდა გოგი გვახარია თავის ბლოგში.

ასე რომ, ამიერიდან რუსთაველის თეატრიც იხილავს ვიქტორ დოლიძის სამმოქმედებიან ოპერას „ქეთო და კოტეს“ გამიუზიკლებულ ვერსიას, სადაც მთავარ გმირებს — ქეთოსა და კოტეს „ეს იყო პეტერბურგის“ ნაცვლად შეუძლიათ თამამად თქვან, რომ „ეს იყო ლონდონში“ (დოიაშვილის ახალი ვერსიით, ისინი სწორედ ლონდონში ხვდებიან ერთმანეთს)... დოის მიუზიკლის თანახმად, ლედი გაგას ფორმაში გამოწყობილი ქეთო საქართველოში საკუთარი ვერტმფრენით ბრუნდება, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი სამოდელო სახლის დამაარსებლის ლუი ვიტონის ბრენდის ლოგო ამშვენებს. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამ ბრენდის გამოყენებისთვის ცნობილ სამოდელო სახლს 80 ათასი ევრო გადაუხადეს. ეფექტის მისაღწევად დარბაზში დიდი „ვენტილატორები“ ირთვება და მაყურებელს ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს ვერტმფრენი მართლაც დარბაზში ჯდება. ამ გარეგნული ეფექტების მიუხედავად, უკვე ვრცელდება მოსაზრება, რომ „ქეთო და კოტე“ ბროდვეის მიუზიკლის სტილშია გადაწყვეტილი და სნობურ ელემენტებსაც შეიცავს.

თეატრმცოდნე **დავით ბუხრიკიძისთვის**, რომელიც სახელისუფლო პრემიერის დღეს მიუზიკლის სანახავად ბათუმში არ მიუწვევიათ, რთული შესაფასებელია, თუ რა ხდებოდა სცენაზე. თუმცა სატელევიზიო კადრებიდან გამომდინარე, „ქეთო და კოტესთან“ მიმართებით, საკუთარი მოსაზრება გააჩნია.

— რა თქმა უნდა, ეს იყო კარგად ჩაფიქრებული, ორგანიზებული და ტურისტულ-კურორტული სეზონისთვის გათვლილი მიუზიკლი. არსებობს ასეთი სპექტაკლები. მაგალითად ჰამბურგში, ლინცში (ავსტრიის ციხე-სიმაგრე) იდგმება ასეთი სანახაობრივი სპექტაკლები, განსაკუთრებით კი ოპერაში.

მოგეხსენებათ, უცხოეთში ბრეგენცის ფესტივალი ტარდება, სადაც ოთხ-ხუთ სპექტაკლს ძალიან კარგი რეჟისორები დგამენ. ეს სპექტაკლები სანახაობრივია, მისთვის უამრავ სპეც-ეფექტს იყენებენ: ხან ცეცხლს, ხან სტიქიას, ფერად კოსტიუმებს და ა.შ. ანუ ეს გათვლილია ტურისტებისთვის, სანახაობისთვის და, გარკვეული თვალსაზრისით, ფულის დასახარჯი სპექტაკლია, რათა ხალხი მივიდეს. მით უმეტეს, მასში ამდენი ვარსკვლავი მონაწილეობს, რაც თვალისთვის მაინც სასიამოვნოა. მთავარი მომენტი, რაზეც მის შემქმნელებს ედავებიან, ეს იყო სანახაობრივი მიუზიკლი და ნაკლებად გახლდათ ხელოვნებასთან ახლოს. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ეს იყო კარგად გამართული შოუ, ერთმანეთთან მექანიკურად მიბმული ნომრებით. სპექტაკლს გარკვეული სტრუქტურის ფორმა არ ჰქონდა.

**— „ქეთო და კოტეს“ დადგმას რუსთაველის თეატრშიც აპირებენ. იმ ფონზე, როდესაც ვრცელდება ინფორმაცია, რომ სტურუას სპექტაკლები უნდა ამოიღონ რეპერტუარიდან, რამდენად მორალურია „ქეთო და კოტეს“ დადგმა ამ თეატრში?**

— რამდენადაც ვიცი, რუსთაველის თეატრში „ქეთო და კოტეს“ დადგმას თბილისობას უმიზნებენ. ცხადია, ეს რალაცნაირად არაეთიკური გამოდის. როგორ გითხრათ... თავად ავტორების გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევიან. მე რომ რეჟისორების ადგილას ვიყო, უხერხული შეგრძნება ნამდვილად მექნებოდა და ვიტყოდი, არ ღირს „ქეთო და კოტეს“ რუსთაველის თეატრში დადგმა. ბოლოს და ბოლოს, სხვაგან დაედგათ. მე მგონი, ფილარმონიაში ყველაზე კარგი იქნებოდა, რადგან ჯერ ერთი, ეს არის სანახაობა, მეორეც, გაშლილი სცენაა. ბათუმში დიდი სცენა არ ეტეოდა. როგორც ამბობენ, ბათუმში ძალიან პატარა სცენური კოლოფია, ამიტომ გუნდი, ორკესტრი როგორმე უნდა დაატიო...

მოგეხსენებათ, ამ მიუზიკლში არის საცეკვაო სცენები, გაშლილ სცენაზე ბევრი სოლისტი მონაწილეობს. ამ თვალსაზრისით, ფილარმონიაში ასეთი უხერხული მომენტები თავიდან აცილებული იქნებოდა. მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, რუსთაველის თეატრში ამ მიუზიკლის დადგმა თავად რეჟისორების სურვილი იყო, თუ ხელისუფლებამ გადაწყვიტა. მთავარია, რომ ეს გადაწყვიტეს და მორჩა. ამას ახლა ვერავინ შეეწინააღმდეგება, ვერც ვარსიმაშვილი და ვერც დოიაშვილი.

**— რობერტ სტურუას შემდეგ როგორ გესახებათ რუსთაველის თეატრის ბედი?**

— თეატრში რთული სიტუაციაა შექმნილი. მსახიობები საპროტესტო აქციებს მართავენ და დღემდე მიაჩნიათ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი ისევ რობერტ სტურუაა, მაგრამ ის აღარ დაბრუნდება რუსთაველის თეატრში.

**— ამიერიდან რუსთაველის თეატრში ღირებული სპექტაკლები დაიდგმება?**

— ძალიან ძნელია. ეჭვი მეპარება, რომ ერთი წლის განმავლობაში, იქ საერთოდ სამხატვრო ხელმძღვანელის სტატუსი არსებობდეს. ალბათ ერთი წლის მანძილზე ამ პროცესს გაწელავენ, რომ მაქსიმალურად კონფლიქტმა გადაიაროს და ჩაცხრეს. შემდეგ მიაგნებენ გამოსავალს, როგორც იციან ხოლმე. სტურუას დონის რეჟისორი ჩვენ არ გვყავს. ვილაცები დადგამენ სპექტაკლებს, შეეცდებიან, საკუთარი ამბიცია მეტ-ნაკლებად წარმოაჩინონ, მაგრამ სტურუას ვერ შეედრებიან.

**მანანა ნოზაძე**

ენრიკო ჯანელიძე გვთავაზობს

# თბილისელ შეყვარებულთა ტრაგედია მომღერალმა გააცოცხლა



ამას წინათ, კინოს სახლში შეკრებილ თბილისელებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, კერძოდ, ნოდარ ტაბიძეს, ამირან შალიკაშვილს, რევაზ მიშველაძეს, ჰამლეტ კობეშავიძეს, რეზო ადამიას, დავით შემოქმედელს, ბადრი ქუთათელაძეს, გოგი ჩლაიძეს, ჯულიეტა მურადელს და სხვებს მომღერალმა ენრიკო ჯანელიძემ თავისი ახალი კლიპი — „ვერისუბნის ტანგო“ აჩვენა, რომელშიც მოთხრობილია გასული საუკუნის 50-იან წლებში თბილისში დატრიალებული ტრაგიკული ისტორია, და, რომელსაც თავად მომღერალი უზადოდ გადმოგვცემს მუსიკისა და სიმღერის ენით.

მაინც რა მოხდა 1957 წლის ერთ ავადსახსენებელ დღეს თბილისში?

...როდესაც სადედამთილომ და სამულემ თავიანთი უმშვენიერესი სარძლო მარგო, წესისამებრ, ქორწინებამდე, აბანოში „შეამოწმეს“, მისი ნაქანდაკარი სხეული იხილეს და კმაყოფილი უნდა გამოსულიყვნენ გარეთ, უცებ წამოსულმა თქეშმა და წყალდიდობამ უზარმაზარი ტალღები აბანოში შემოაგდო, სადედამთილო და სამულე იმსხვერპლა, ამის შემსწრე მარგო კი ჭკუაზე შეირყა და მერე, სიკვდილამდე, მთელი თბილისი „გიჟ მარგოს“ ეძახდა („მარადისობის კანონში“ აქვს დახატული მისი სახე ნოდარ დუმბაძეს). მარტო იმ საშინელ ფაქტს არ უმოქმედია მარგოს ფსიქიკაზე — მისმა საქმრომ წყალში დამხვრჩვალ დას და დედას მიხედა, ვერ გადახარშა ოჯახის ტრაგედია, მარგო „მიავიწყდა“ და მოგვიანებით, მისი სიკვდილი რომ გაიგო, მაშინღა დაიწყო სატრფოს წინაშე დანაშაულის მონანიება — ყოველდღე ყვავილები მიჰქონდა მის საფლავზე...

კლიპში ენრიკო ჯანელიძე სიმღერით გადმოგვცემს საქმროს სულიერ მდგომარეობას, იგი აქაც შესანიშნავი არტისტიზმითა და ვოკალით გამოირჩევა და უმალ იპყრობს მაყურებლისა და მსმენელის გულს. ფილმის დამთავრების შემდეგ პროფესორი ნოდარ ტაბიძე იტყვის: „კლიპმა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. განსაკუთრებით ემოციურია მასში ენრიკო. სხვათა შორის, შინ მიმაქვს ფირი, რომ ხანდახან ჩავრთო და შევიგრძნო. იგი სევდიან განწყობას კი არ ქმნის, არამედ შეტევისთვის გამზადებს, სიცოცხლეს გაყვარებს“.

ენრიკო ჯანელიძეს, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც გაუმართლა, ერთია ნიჭი, შემართება, შრომისმოყვარეობა, შინაგანი და გარეგნული გამორჩეულობა, მაგრამ, უდავოა, რომ, ზოგჯერ, ხელოვანს იღბალიც უნდა აბერტყავდეს თავის კალთას. ჰოდა, რა გასაკვირია, ენრიკო ესპანურად იღბლიანს ნიშნავს. მან თექვსმეტჯერ შემოუარა მსოფლიოს გემებით — „შოთა რუსთაველი“, „მაქსიმ გორკი“, „გრუზია“, „ტარას შევჩენკო“, „ივან ფრანკო“, „პეტრე პირველი“ და მრავალი ქვეყნის მაყურებელი და მსმენელი მოხიბლა ქართული თუ უცხოური სიმღერების ოსტატური შესრულებით...

ენრიკო ჯანელიძე, რომ იტყვიან, დღესაც „ფორმაშია“, რასაც მისი ახალი კომპაქტდისკის — „ქალაქურიდან როკენროლამდე“ მოსმენაც ადასტურებს...

ამ შემთხვევაშიც გაუმართლამეთქი... საქმე ის არის, რომ კლიპს „ვერისუბნის ტანგოს“ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მუსიკისა და ტექსტის ავტორის ჯუმბერ ჯანდიერის, ოპერატორ კოტიკო კალანდაძის, კლიპში მონაწილე პანტომიმის თეატრის მსახიობების ოსტატობამ და პროფესიონალიზმმა. კლიპის სცენარი და რეჟისურა კი თვითონ ენრიკოს ეკუთვნის.

მეტი რაღა ვთქვათ? ახალი წარმატება ახალ იმპულსს სძენს ხოლმე ხელოვანს. „ქართველ მაგელანად“ სახელდებულ მომღერალს შორეული ნაოსნობებისთვის უკვე აღარ სცხელა, „ქარი დაცხრა სიბობოქრის“, სამაგიეროდ, უფრო და უფრო ხშირად უწევს ენრიკოს საკუთარი ხალხის წინაშე გამოსვლა, ჰოდა, ვუსურვოთ მომღერალს, რომ ეს გამოსვლები, ეს შეხვედრები სწორედ ახალ-ახალი იმპულსისა და შემართების მომტანი ყოფილიყოს მისთვის.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ენციკლოპედიის ყოფილი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის რედაქციის გამგე, ომისა და შრომის ვეტერანი, ღირსების ორდენის კავალერი

**გიორგი ქველაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ინფორმაცია

## „საქართველოს ბანკში“ „თბილისის წყლის“ შესყიდვის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ

„საქართველოს ბანკი“ „თბილისის წყლის“ შესყიდვის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს, — ამის შესახებ „საქართველოს ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ბალავაძემ „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

გუშინ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურის“ სადისტრიბუციო ნაწილი „საქართველოს ბანკმა“ იყიდა და ეს პროცესი ფარულად განხორციელდა.

მისი განმარტებით, დისტრიბუციის დაპატრონება ნიშნავს, რომ წყალი მთლიანად „საქართველოს ბანკის“ საკუთრებაა.

ყურადღება!

იყიდება ნისან-ტერანო-2, კარგ მდგომარეობაში. დარეკეთ 577 40 60 72, 551 14 74 16, ფასი შეთანხმებით.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ნომრის კარიკატურა



— საყვარელო, მე შენთვის პირველი მამაკაცი ვარ?
— წელს კი, ძვირფასო.

ამირან ერაძის ნახატი.

## გენეტიკა

# ფიქრი, ბედნიერების შემგრძნობი მტერი



ამ ბოლო დროს სამეცნიერო წრეებში ბევრს ბჭობენ იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი ადამიანი ბედნიერებისადმი... გენეტიკურადაა მიდრეკილი, ზოგს კი ასეთი ლტოლვა საერთოდ არა აქვს...

ბერლინის სამეცნიერო ცენტრში ბედნიერების ბუნების შემსწავლელ სიმპოზიუმზე ბრემენელი ნეიროფიზიოლოგის გერჰარდ როტის განცხადებამ ყველანი შოკში ჩააგდო. მეცნიერის აზრით, ეიფორიის შეგრძნება „ჯილდოსა და მისი მიღების მოლოდინის განცალკევებულ სისტემებთანაა დაკავშირებული. ჯილდოს მოლოდინის ემოცია – ყველაზე ძლიერია და „მოუსვენარი“ (ვაი და არ დამაჯილდოვონ?). ჭეშმარიტი განცხრომის განცდა მოულოდნელი, მაგრამ დამსახურებული ჯილდოს მიღების მომენტში გვეუფლება, თუმცა იგი დიდ ხანს არ გრძელდება. დოქტორ როტის თქმით, ამიტომ არის, რომ ლატარიაში მოგებული კაცი მთელი ცხოვრების მანძილზე ბედნიერი არ რჩება.

საინტერესოა, რამდენ ხანს გრძელდება ბედნიერების ნეტარება? შოტლანდიის დანდის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორმა ემეს ნეგიმ დაკვირვების ობიექტად გამარჯვებულ სპორტსმენთა ერთმანეთის ჩახუტების მომენტები შეარჩია. მისი აზრით, ესაა სიხარულის და აღფრთოვანების ჭეშმარიტი აპოთეოზი. დოქტორმა ნეშმა გამარჯვებით გახარების 200 შემთხვევა გააანალიზა მსოფლიოს 32 ქვეყანაში და დაასკვნა, რომ სქესის, ეროვნებისა და სპორტის სახეობის მიუხედავად, ემოციების პიკი საშუალოდ სამ წამს გრძელდება!

იელის, დენვერისა და იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტების მეცნიერებს კი სულაც მიაჩნიათ, რომ: ა) ზეციურ ნეტარებაში ხშირ ყოფნას ადამიანის სიცოცხლის შემოკლება შეუძლია. ამის მიზეზი ისაა, რომ ბედნიერების შეგრძნება ადამიანს აბრუებს, რის შედეგად იგი უფრო უდარდელი ხდება, ჯანმრთელობას ნაკლებად უფრთხილდება და რისკსაც მეტს სწევს; ბ) ზიანის მომტანია წიგნები, რომლებშიც ბედნიერად გახდომის რჩევებია მოცემული. მეცნიერთა აზრით, ეს რჩევები უფრო დეპრესიების მომტანი არიან, ვიდრე ბედნიერების, რადგან შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ადამიანები სანადელ შედეგს ვერ აღწევენ. გ) ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ბედნიერები, იმიტომ რომ... ფიქრის უნარი შეგვწევს. ეს დასკვნა ჰარვარდის მეცნიერებმა 83 ქვეყანაში ჩატარებულ დაკვირვებათა შედეგად გამოიტანეს. მათი აზრით „ყველაფრისა“ და ამავე დროს „არაფრის“ შესახებ აზრები, რომელთა თავის დაღწევას მოფიქრალი თავის ტვინი ვერაფრით შეძლებს, ადამიანებს გუნებას უფუჭებს და სიცოცხლეს უმწარებს. ამდენად, კაცთა მოდგმისთვის ოპტიმიზმზე მეტად პესიმიზმია დამახასიათებელი.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ფიქრის უნარი – გონების ის მიღწევაა, რომელიც ბედნიერი ემოციების საზიანოდ შევიძინეთ.

ტყუილად როდი ამბობენ ილბლიანებზე – პერანგში დაიბადაო, რადგან მისი ჭეშმარიტება დიდი ბრიტანეთის ესექსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს. მათ 1995-2008 წლებში 13 წელს გადაცილებული 2574 ამერიკელი ჭაბუკის ჯანმრთელობის კვლევის მონაცემები დაამუშავეს და იმის დამტკიცება შეძლეს, რომ ადამიანის ბედნიერება, მისი დაბადებისას, გენეტიკურ დონეზე „იგეგმება“.

„ბედნიერების გენს“ მეცნიერები HTTLPR-5 გენს უწოდებენ, რომელიც სეროტონინის, ჩვენი გუნება-განწყობის განმსაზღვრელი ქიმიური ნივთიერების ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი მოლეკულების გამომუშავებაზეა პასუხისმგებელი. აღმოჩნდა, რომ იმ მოხალისეებს, ვინც ცხოვრებით კმაყოფილი იყო, აღნიშნული გენის ყველაზე გრძელი ვარიანტი ჰქონდათ. მეცნიერები დარწმუნებული არიან: რაც უფრო გრძელია ეს მოლეკულა, მით უფრო უკეთ გადააქვს მას სეროტონინი, მაშასადამე პატრონის ხასიათიც „მაღალ დონეზეა“.

„იღბლიანებს“ მეცნიერებმა ბედნიერების კიდევ ერთი „სამალავი“ აღმოუჩინეს: მედისონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორის რიჩარდ დევიდსონის ცდებმა აჩვენეს, რომ სიცოცხლით ტკბობა, სიმხნევე და იმედიანობა თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროშია განთავსებული. მარჯვენა ნახევარსფერო კი ნაღვლიანობის, გულაცრუებისა და სინანულის „თავშესაფერია“. ამიტომაა, რომ ყველა პესიმისტს, სკეპტიკოსსა და თვითმკვლელს დომინანტი მარჯვენა ნახევარსფერო აქვს, ოპტიმისტებს კი – მარცხენა. მაშასადამე, ცაციები სხვა დანარჩენებზე უფრო მეტად პესიმისტები არიან.

– ბავშვის ხასიათი მისი სიცოცხლის პირველ 72 საათში ყალიბდება, როცა მისი თავის ტვინის ქერქის ჩამოყალიბების ინტენსიური პროცესი იწყება, – ამბობს დოქტორი დევიდსონი. – რასაც იგრძნობს იგი ამ სამ დღე-ღამეში; ისეთი ხასიათი, შესაბამისად, ბედიც ექნება. სწორედ თავის ტვინის სხვადასხვა ნახევარსფეროს დომინირების გამოა, რომ ერთსა და იმავე ვითარებაში ადამიანები სხვადასხვანაირად რეაგირებენ. ამიტომაა, რომ „პერანგში დაბადებული“ არ უტყდება ბედის სიავეს...

**ლალი ხუნდაძე**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● კონსერვატორმა ინგლისელებმა მხოლოდ 1947 წელს გააუქმეს თანამდებობა, რომელიც ნაპოლეონ ბონაპარტს ინგლისში წასვლა-წამოსვლას ზარბაზნის სროლით ამცნობდა ხალხს.

● პორტუგალიაში სამსახურის გაცდენის მიზეზად თავისუფლად შეგიძლიათ დაასახელოთ... უამინდობა.

● ძველი რომაელები კბილის ჯაგრისისა და პასტის ნაცვლად ზეთისხილის რტოს იყენებდნენ.

● გასული საუკუნის 70-იან წლებში ძალიან პოპულარული გახდა ვარცხნილობა „პომპადური“, რადგან ასეთი ვარცხნილობა ჰქონდა „ბითლზის“ ჯგუფს, რომლის სიმღერები დღესაც პოპულარულია.

● ფრანგული კომიქსის პერსონაჟს გალების მამაც ბელად ასტერიქსს, დიდ კომბინატორ ოსტაპ ბენდერსა და ცნობილ შერლოკ ჰოლმსს საერთო ის აქვთ, რომ ავტორებმა ისინი ჯერ „მოკლეს“ და შემდეგ „გააცოცხლეს“.

● ამერიკელმა მძლეოსანმა შერილმა დაამკვიდრა შეჯიბრების დროს დაჩოქილი მორბენლების სტარტი, რომელიც მან კენგურუებზე დაკვირვების შედეგად მოიფიქრა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

## განცხადება

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მმართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე, სავალდებულო მოთხოვნებია-უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.

## სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი. საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

რექტორატი

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– შენ ჩემი თაფლაკვერი ხარ, – ეჩურჩულება კაცი ქალს.
– რატომ თაფლაკვერი, იმიტომ, რომ სქელი ვარ?
– არა. იმიტომ, რომ ტკბილი ხარ... და ნახვრეტიანი...

* * *



პენსიონერები პარკში სხედან.
– უკვე ოცი წელია, რაც იმპოტენტი ვარ, – ამბობს ერთი.
– მე – თორმეტი წელია.
– მე კი, ფუი ეშმაკს, არ გავითვალო და (მერხზე აკაკუნებს), მხოლოდ სამი წელია!

* * *

ცოლის თაროზე შამპუნი შევნიშნე... ეტიკეტზე ეწერა: „სიგრძე და ძალა“... რა თქმა უნდა, ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ყველაფერი დავიბანე...

* * *

ივანიჩი ცოლს ეძახის:
– ძვირფასო, კარტოფილი ამოვთხარე, ღობე გავამაგრე, წყალიც მოვიტანე! კიდევ რა გავაკეთო?
ცოლი ჩაფიქრდა:
– მგონი ვიაგრას რაღაც სხვა დანიშნულება აქვს...

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-
რუსლან რუსია 599 17-21-2
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24